"მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო"...

# ნიკოლაძის გზით



ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი №7 (296) 31 ივლისი, პარასკევი, 2021 წელი; ფასი 1 ლ.



**ვიდრე ოკეანის გაღმელები დემოკრატიის შუქურას - მიხეილ სააკაშვილს დაგვიბრუნებდნენ, იქნებ გამოფხიზლდეთ და ხალხს მიხედოთ,თქვენს კინკლაობას ქვეყანა გადაყვება**

## დემოკრატიის 30 წელი - უწყვეტი არჩევნები, მოლოდინები და დაუსწრებელი ცხოვრება, ცხოვრება-ოცნებაში...

მე-2 გვ



ადგილობრივ არჩევნებში, ფოთში ,,ოცნებამ" მერობის კანდიდატად **ბექა ვაჭარაძე** -ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე დაასახელა.

სრულიად ახალგაზრდა კაცმა ფოთელთა და საკრებულოს წევრთა მხარდაჭერა დაიმსახურა და არჩევით თანამდებობაზე დაწინაურდა. მან ბევრ სასიკეთო საქმეს ჩაუყარა საფუძველი. კვლავაც წარმატებებს ვუსურვებთ ადგილობრივ არჩევნებში.

**პირველად საქართველოს ისტორიაში, 4 დაცული ტერიტორია UNESCO-ს ბუნებრივი მემკვიდრეობის ნუსხაში შევიდა**



მე-3 გვ

სპორტი

ქართული გენის ტრიუმფი

## ლაშა ბექაური ოლიმპიური ჩემპიონია!

მე-8 გვ



წიგნის თარო



გამოვიდა ალექსანდრე (ალეკო) ღოღბაიას მორიგი ლექსთა კრებული სახელწოდებით

## ,,ჰორიზონტს მიღმა"

**დიდი პოეტური თვალსაწიერი**

მე-4 გვ

## პაატა გეგენავა: ჭეშმარიტი კაზაკი საქართველოს წინააღმდეგ არასოდეს გამოვა,ის ჩვენი ისტორიული მოკეთეა



ინტერვიუ საქართველოს ვეტერანთა ცენტრალური კავშირის ფოთის საქალაქო კავშირის თავმჯდომარესთან, საქართველოს კაზაკთა გაერთიანების სამეგრელო-ზემოსვანეთის ატამანთან, კაზაკთა ერთობის უმაღლესი ჯილდოს ,,ოქროს ვარსკვლავის" კავალერთან, კაზაკთა გენერალ - მაიორ პაატა გეგენავასთან მე-6 გვ

**დავით ჩირგაძე**

## მოულოდნელი გარდუვალობა

მე-4 გვ



*რევაზ პაპუაშვილი*

***,,ფაზისის'' საერო-სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსი***

*კოლხეთი-ცივილიზაციის აკვანი*

## *კოლხეთის უძველესი ოქრო*

მე-5 გვ






***ჯუმბერ კემულარია***

## *საზღვაო ქალაქს საზღვაო მუზეუმი უნდა ჰქონდეს*

ივანე ჯავახიშვილი: ,,საქართველოს ისტორია არ უნდა იყოს გაყალბებული და იგი უძველესი კოლხეთის ისტორიით უნდა იწყებოდეს" მე-5 გვ

## *31 ივლისს გაიხსნა ფოთის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი*



*პროექტის ფარგლებში მოეწყო საფეხმავლო ბილიკები, აშენდება სცენა, მოეწყო - დასასვენებელი სივრცეები, საბავშვო მოედნები, გამწვანება, დაიდგა და მოიხატა საპარკო სკამები.*

*ყველა თაობის ადამიანს შეუძლია ამ პარკში თავისი სივრცე იპოვოს და ისიამოვნოს. ფოთის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში დაგეგმილი გვაქვს მეორე ეტაპის სამუშაოები, რომელიც შადრევნისა და ავტოდრომის მოწყობას ითვალისწინებს" - განაცხადა ფოთის მერის პირველმა მოადგილემ.*

*ფოთის ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა.*

**ფოთის ცენტრალური საავადმყოფო- ,,ბომონდში" ფუნქციონირება დაიწყო დიალიზის ცენტრმა.**

მე-3 გვ



# ვიდრე ოკეანის გაღმელები დემოკრატიის შუქურას - მიხეილ სააკაშვილს დაგვიბრუნებდნენ, იქნებ გამოფხიზლდეთ და ხალხს მიხედოთ, თქვენს კინკლაობას ქვეყანა გადაყვება

## დემოკრატიის 30 წელი - უწყვეტი არჩევნები, მოლოდინები და დაუსწრებელი ცხოვრება, ცხოვრება-ოცნებაში...



ამერიკელების ხელდასმული დემოკრატიის შუქურა თავის პროვოკაციებით კიდევ ბევრ უბედურებას გადაგვყრის-ჯერ იყო გავრილოვი, მერე-ლგბტ, და არავინ იცის კიდევ რას გვიმზადებს. ლგბტ სააკაშვილს ნაკლებად ადარდებს, იგი ხელისუფლებისათვის ბრძოლის ნაწილია და, სამწუხაროდ, ჟურნალისტი შეეწირა. ძალადობრივი რეჟიმის შემომქმედი წლების წინათ არბევდა კრიტიკულ მედიას. დაიხურა ასობით რედაქცია, მათ შორის ჩვენი წინამორბედი - „ფოთის უწყებანი". სამწუხაროდ, მედია ვერ გახდა დემოკრატიის მთავარი მიმართულება, გადაგვარებული ჟურნალისტიკა პარტიულ დაკვეთებს ასრულებს, თანაც ძალადობრივი რეჟიმის აღდგენას ემსახურება და მათი ნაძარცვი ფულით, თანხებით არსებობს და ებრძვის ყოველივე ეროვნულს, ტრადიციებს, სულიერ ღირებულებებს და პროვოკაციების ერთ-ერთი ორგანიზატორია. სამწუხაროდ, ეს არის ბინძური სიტყვის თავისუფლება, სიტყვათმკვლელობა, რაც საზოგადოების დაპირისპირებას და გახლეჩას ემსახურება. აქ პატრიოტიზმის გამოვლინებაა, ვინც უფრო ბევრჯერ შეაგინებს პუტინს, თანაც გაუგონარი სიბინძურით და ამ ჟურნალისტებს სახელმწიფო იცავს. სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ჟურნალისტები კი არავის ახსოვს, უმუშევრად არიან. ნაციონალური მოძრაობა და მისი ე.წ. მედია საზოგადოების გულისწყრომას იწვევს, განსაკუთრებით ქრისტიანობის, ეკლესიის, და პატრიარქის შეურაცყოფის გამო, რომელსაც რუსეთის აგენტად მოიხსენიებენ, რასაც მოჰყვა 5 ივლისის ტრაგიკული მოვლენები. ქართველი ხალხის აბუჩად აგდება ყოველთვის ასეთ შედეგებს მოიტანს, მიუხედავად ეკონომიკური სიდუხჭირისა, ხალხში მძლავრადაა ფეხგადგმული ქრისტიანული რწმენა და ზნეობრივი ღირებულებები. კულტურული ფასეულობები, რომელიც 4000-5000 წლის ისტორია აქვს. სამწუხაროდ, 200 წლის ქვეყანა აშშ ამას ვერ გაიგებს. ერთხელ ცხონებულა ოტია იოსელიანმა იხუმრაამათი ხნის მსხალი მიდგას ეზოშიო. მე-12 საუკუნეში იწერებოდა ახალი ბიბლია, „ვეფხისტყაოსანი", ის არის გზა ამაღლებისაკენ, პიროვნული თავისუფლებისაკენ, რომელიც ამათ ინსტიქტამდე დაიყვანეს. შეუძლებელია იგი ცარიელ ნიადაგზე აღმოცენებულიყო. ასეა თუ ისეა 200 წლიან ქვეყანაში დემოკრატიაც ყვავის და ეკონომიკაც, და ეროვნებად ყალიბდება, ჩვენ კიდევ ვკარგავთ. თუ დემოკრატიის 30 წლიან ისტორიას გადავხედავთ, სულ შეცდომებზე ვიარეთ. შევარდნაძიდან მოყოლებული ერთპარტიული მმართველობა, ძალადობრივი რეჟიმი, არაფორმალური მმართველობა ცუდად მოუბრუნდა ქვეყანას. და მივიღეთ ვითომ დემოკრატია, ვითომ პარლამენტი, ვითომ მთავრობა, ვითომ პრეზიდენტი და კიდევ ბევრი ვითომ. სახელმწიფო ინსტიტუტები ხელისუფლების სამსახურშია, როცა პირიქით უნდა იყოს სუსი, სასამართლო და პროკურატურა, ვერ გახდა დამოუკიდებელი, რასაც გვიკიჟინებს ევროპა, არ დამთავრდა ქუჩიდან რევოლუციებით მოსული ხელისუფლებები. ხელისუფლებაში მოსვლის მთავარი პირობაა წინა ხელისუფლების უვარგისობა და არა ახალი პროგრამები და თვლსაწიერი.

**პარადოქსია: გვაქვს მრავალპარტიული პარლამენტი ერთპარტიული მთავრობით. მიზანი ძალაუფლებაა, რომელიც ერთი პარტიის ხელშია. სადაც ოპოზიცია ვერაფერს ვერ წყვეტს, რაც დაპირისპირებას აღრმავებს, რასაც შეიძლება ქვეყანა გადაყვეს.**

ქვეყანა ორადაა გაყოფლი, მტრული პარტიებით, თავათავიანთი მედიებით, მხარდამჭერებით შინ თუ გარეთ. რომლებიც უცერემონიოდ ერევიან ქვეყნის საშინაო საქმეებში, ქვეყანას არა აქვს ეკონომიკა, მეცნიერება სულს ღაფავს, არ მუშაობს არცერთი იდეოლოგიური ინსტიტუტი, ეკლსიაშიც კრიმინალები არყევენ რწმენის ციტადელს და ქონების დაგროვებაში ეჯიბრებიან ერთმანეთს. არადა, მათი უმთავრესი ამოცანაა ყველა ადამიანის, რიგითის თუ პოლიტიკოსის სულიერი ჩამოყალიბება, განათლება, რელიგიური ფილოსოფიით, ცხოვრებისეული სიბრძნით, მაშინ არ დაირღვევა ადამიანის უფლებები, პოლიტიკურ მიზნებს არ შეეწირება სახელმწიფო და სახალხო ინტერესები, სახელმწიფო კანონები იქნება უზენაესი ყველასათვის, განურჩევლად რწმენისა და სოციალური მდგომარეობისა. გამოდის პოლიტიკა ცალკეა, ეკლესია- ცალკე, და ხალხი-ცალკე. ადამიანთა სულიერი ფორმირების საშუალებები არ უნდა იყოს შემთხვევითი ადამიანების ხელში. იქნება ეს ეკლესია, მედია თუ სხვა უწყება. რაც შეეხება მონანიების წესს ეკლესიაში, (კაცის მკვლელი მღვდელი თუ ეპისკოპოსი ხდება). ამან განაპირობა უმძიმესი დანაშაულებით მაღალ იერარქიამდე თანამდებობის დაკავება და უკუშედეგები. არ შეიძლება ტელევიზიის მეპატრონე იყოს ბნელი წარსულის მქონე პიროვნება, რომელიც ხალხის ნაძარცვი ფულით ქმნის ამ კომპანიას და, ცხადია, არ დაიცავს სახელმწიფო ინტერესებს. ეს არის მედიის ახალი სახეობა. ისინი ჟურნალისტები არ არიან. პროკურორები ჟურნალისტობენ, ჟურნალისტები პროკურორობენ, არადა, ჟურნალისტობიდან მწერლობამდე ერთი ნაბიჯია. როგორი მწერლებიც არიან ამას საზოგადოება ხედავს.

30 წლის მერე მაინც დავფიქრდეთ ვის ვაძლევთ ხმას, ანუ ძალას და უფლებას იყოს ქვეყნის ხელისუფალი, ვაძლევთ უფლებას განაგოს და ემსახუროს ქვეყანას და არა-პირიქით.

ქართველი ამომრჩეველი უნდა მიხვდეს, რომ ის რაც ქვეყანაში ხდება მისი დანაშაულიცაა. და ვიდრე ეს კავშირი უგულებელყოფილი იქნება, ასეთი შედეგები გვექნება - ჯერ კიდევ დემოკრატიის მერხებთან ვსხედვართ, ამიტომ არაკომპეტენტური, კორუმპირებული პიროვნებები ჯერ კიდევ არიან ხელისუფლებაში. ინტელექტუალური ამომრჩევლის ნაკლებობა დიდხანს შეგვაფერხებს. რამეთუ მათ გარეშე, წარმოუდგენელია ხელისუფლებაში პროფესიონალების და პატიოსანი ადამიანების მოსვლა. ჩვენი უახლოესი წარსული ამის მაგალითია, და დღევანდელობაც არ იძლევა იმედის საფუძველს. ეს პარლამენტიც პოლიტიკურ შოუს დაემგვანა და ვადამდელი არჩევნები, თუ ასე ,გაგრძელდა, ისედაც იქნება ჩასატარებელი, თუმცა „ოცნებამ" გააქუქმა შარლ მიშელის დოკუმენტი ვადამდელი არჩევნების პუნქტით, ადგილობრივ არჩევნებში 43%-იანი ხმებით. არადა, ასეთი ეკონომიკის პატრონს ძალიან გაუჭირდება ამდენი განმეორებები. სააკაშვილის ნარჩენების აღორძინება და დაპირისპირება არ უნდა იყოს მმართველი ძალის ამოცანა, ამისთვის არ აურჩევია ხალხს ოცნება, რომ ისევ ნაციონალები მოვიდნენ ხელისუფლებაში, რასაც ასე ცდილობენ გარე ძალები. აშშ სააკაშვილს საფრთხობელად ინახავს და შეიძლება შემოდგომაზე ცნობილი მექანიზმებით დაჭერა-შეწყალებით ისევ



„საუკეთესოა ის სახელმწიფო, რომელსაც ხელმძღვანელობენ საუკეთესო ადამიანები, რომელშიც პირველ რიგში პატივს სცემენ ზნეობრივ ადამიანებს და საზომია ზნეობა, ოლიგარქიის საზომია სიმდიდრე, დემოკრატიაში-თავისუფლება. ზნეობაზე ზრუნავენ იმ სახელმწიფოში, სადაც მეტი აქვთ თავისუფალი დრო და არის კეთილდღეობა

(არისტოტელე)

გააცოცხლოს. იქეთ რუსებსაც თავისი ინტერესები აქვს, თავის ძალებს აფინანსებს, ზოგი პატრიოტიზმს არის ამოფარებული, ზოგიც რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას. ქვეყანა კი ეწირება ამ დაპირისპირებას, მტრის ხატად იყენებენ ერთმანეთს, ხალხი კი წალეკა უმუშევრობამ, ინგრევა ოჯახები, ადამიანები საზღვარგარეთ თავის გადასარჩენად გარბიან, არადა მიზანი არ იცვლება, ისევ წინააქვთ წაგდებული ნატო და ევროპა, აშენდება ანაკლიის პორტი, და საქართველო იქნება მსოფლიო დონის სატრანსპორტო ჰაბი, გაიზრდება ბიუჯეტი და ადამიანთა კეთილდღეობა. თუმცა, არამგონია უბრალო ხალხს დაადგეს საშველი ამიტომ, იქეთ მიაშურა ევროპას, ვიდრე აქ ააშენებდეს ევროპას.

ღრმავდება უფსკრული ხალხსა და ხელისუფლებას შორის. ასეთ დროს ქვეყანა ლგბტ თავისუფლებითაა დაკავებული. სამწუხაროდ, ნაციონალები და მისი ახალი ლიდერი ნიკანორ მელია პროვოკაციებისთვის იყენებს ამ ძალას, შეუძლებელია საქართველოში ამდენი ამ კატეგორიის ადამიანი იყოს, **და თუ ასე გაგრძელდა მალე მთელი ქვეყანა ლგბტ გახდება და არც არავინ სცემს ერთმანეთს, გავმრავლდებით და „მთელი სოფელი ჩვენ ვიქნებით**, რაც შეეხება ნარკოლიბერალიზაციის მომხრეთა პარლამენტში შეყვანას, დესტრუქციული ძალების აღზევებას, ესეც ამერიკელი დალესისი პროგრამის ნაწილია-„თუ გინდა ქვეყანა დაიპყრო, გარყვენი ახალგაზრდობა".

ამასწინათ საქართველოში ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილები ჩამოასვენეს, რამდენიმე ტელევიზიის გარდა არცერთ არ გაუშუქებია. 12 აგვისტოს დიდგორობაა, ყველაზე საკვირველი ბრძოლა მსოფლიოს იისტორიაში, ალბათ, ეს მოვლენა ვაიპატრიოტებს არ გაახსენდებათ. მათთვის სამშობლო ფულით სავსე ჩემოდანია და შეუძლიათ ატარონ კიდით-კიდემდე. საქართველოს ძალად თავსმოხვეული პრობლემები კარგა ხანს შეაფერხებს. ისევ გამოჩბდნენ მივიწყებული ნაციონალები და თავი მხსნელებად წარმოგვიდგინეს, ეს გზა უკვე გავიარეთ, მდინარეში ორჯერ არ შედიან. უნდა შეფასდეს 1990-1993 წლების სააკაშვილის რეჟიმის და დღევანდელი არაფორმალური მმართველობის შედეგები. სხვა მხრივ ქვეყანას წინსვლა არ უწერია. სააკაშვილის გაკვეთილები არ გამოდგა საკმარისი ივანიშვილისათვის, პირიქით დაიტოვა მისი მოსამართლეები, რის გამოც დაიწყო პარტიის რღვევა. პარადოქსია, რომ თავიანთ რჩეულ მოსამართლეთა გადაყენებას ითხოვენ „ნაცები".

დიდი იყო ეკონომიკის განვითარების მოლოდინი, რეალობა კი ისაა, რომ საქართველოს ბიუჯეტი აშშ ერთი ფირმის ბიუჯეტზე ნაკლებია. ქართველობა ებრაელებივით სხვა ქვეყნებში გაიფანტა, სახელმწიფო კი ლგბტ უფლებების დაცვას გადაყვა. ვიდრე არ იქნება ერთიანი სახელმწიფო სივრცე ვიდრე ორად იქნება გახლეჩილი პოლიტიკა, ეკლესია, მეცნიერაბა და ა.შ. ვიდრე ადამიანი არ იქნება უმთავრესი ღირებულება, რომლისთვისაც სახელმწიფო არის იმედი, რომ არ დაიღუპება, ამ ქვეყანას ყოველთვის ექნება არასრულფასოვნების განცდა, არადა არც პარტია და არც ხელისუფლება სახელმწიფო არ არის, თუმცა, ისე შეეზარდნენ ერთმანეთს, ძნელია საზღვრის გავლება.

პარტიას იოლად არ უნდა შეეძლოს ხელისუფლებაში მოსვლა და არც ხელისუფლების გადაყენება უნდა იყოს ურთულესი მოვლენა. 30 წელია ამ ბრძოლაში ვართ ჩართული -ვირჩევთ და ვერ გადაგვირჩევია, ასე აშენდება ქვეყანა?... იმედი ყველაზე ბოლოს კვდება, მაგრამ ჯერჯერობით მესამე ძალა არ ჩანს.

ნაციონალებმა 9 წელი ძალადობრივი რეჟიმით სული ამოხადეს ხალხს, ისევ ევროპისკენ და ნატოსკენ გვიღებენ კარებს. საკმარისია ხალხის მოტყუება ფილოსოფიური დოგმატებით, ესენი არიან ევროპის თუთიყუშები და რეალურ ევროპასთან არაფერი აკავშირებთ, გარდა საკუთარი კეთილდღეობისა, რომელიც ხალხის დემოკრატიამ ჩამოურიგა და თვიონ დატოვა მშიერი. ესაა სიღარიბე, როგორც პატარა ჯავრცმა. ქვეყანას ჭირდება ერთიანი პროგრამა სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებით, არა ახალ-ახალი პარტიების ამბიციების მიხედვით.

სამწუხაროდ, საზოგადოებაში მრავალ მიზეზთა გამო ბოღმა და ცუდი აურა ტრიალებს, რაც 30 წლის ფსევდო დემოკრატიის და ვითომ სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის შედეგია. ზოგი ტრადიციებს ებღაუჭება, ზოგი ევროპას, რეალურად კი ყველა ამ წინააღმდეგობის საფუძველი სიღარიბეა და ეს ხდება 21-ე საუკუნეში. სახელმწიფო დამოუკიდებლობა მხოლოდ ტერიტორიული დამოუკიდებლობა არაა. მისი ხალხიც და ხელისუფლებაც უნდა იყოს თავისუფალი, არ უნდა ჩაკვდეს ყველაზე დიდი ადამიანური ურთიერთობები, ტრადიციები. რასაც ემყარება სახელმწიფო და მისი მომავალი.

ახლებური სულისკვეთებით მომავლის გააზრებით, (არა ვიღაცის კარნახით) უნდა ჩავატაროთ ადგილობრივი არჩევნები. სამწუხაროდ, გაყალბება ყოველთვის აქედან იწყებოდა. ინტელექტუალური ძალები წინააღმდეგობას აწყდებიან ბიზნესმენ პოლიტიკოსებთან პაექრობაში. მათ დიდ ფულად რესურსებს ემატება სახელმწიფო რესურსები და ეს მავნე პრაქტიკა თანდათან უნდა აღმოიფხვრას. ნიკოლაძის ქალაქში თვითმმართველობა ფიქტიური არ უნდა იყოს. ადგილობრივ ქონებას, კადრებს ცენტრი არ უნდა განაგებდეს. ფოთის პორტი საეჭვო ვითარებაში გაიყიდა ერთი ამწის ფასად და ქალაქს დაუკარგეს მთავარი შემოსავლის წყარო, თუმცა, მაშინაც თვითმმართველობა იყო.

ჩვენც შეგვეძლო ევროპული სახელმწიფოს აშენება, თუმცა, არჩევანი არ გამოგვივიდა. იქნებ დადგეს გარდატეხის მომენტი და ნამდვილი დემოკრატიით ქვეყანას ეშველოს.

ზ. აბრალავა

## პირველად საქართველოს ისტორიაში, 4 დაცული ტერიტორია UNESCO-ს ბუნებრივი მემკვიდრეობის ნუსხაში შევიდა



ჩინეთის ქალაქ ფუჟოუში, UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 44-ე სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებით, კოლხეთისა და მტირალას ეროვნული პარკები და კინტრიშისა და ქობულეთის დაცული ტერიტორიები, „კოლხური ტყეებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების“ სახელით, მსოფლიოს 213 ბუნებრივი მემკვიდრეობის ნუსხას დაემატა და ღირსეული ადგილი მოიპოვა ამაზონის ტყის, გრანდ კანიონის ეროვნული პარკის, იელოუსტოუნის ეროვნული პარკის, მთა ეტნას, შვეიცარიის ალპების გვერდით.

დაცული ტერიტორიების მსოფლიო აღიარების მოპოვების აღსანიშნავად, ღონისძიება კოლხეთის ეროვნულ პარკში გაიმართა.

საქართველოს დაცული ტერიტორიებისთვის მსოფლიო მემკვიდრეობის უბნად დასახელება, უმნიშვნელოვანესი ფაქტია არა მხოლოდ ქვეყნის, არამედ რეგიონის მასშტაბით. აღნიშნული ტერიტორიები წარმოადგენს კავკასიის ეკორეგიონისა და შავი ზღვის აუზის უმნიშვნელოვანეს ნაწილს, გამოირჩევა უნიკალური ეკოსისტემებითა და ბიომრავალფეროვნებით.

საქართველოს დაცული ტერიტორიებისთვის მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სტატუსის მინიჭება UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის IX და X კრიტერიუმების გათვალისწინებით მოხდა, რაც გულისხმობს მსოფლიო მნიშვნელობის უნიკალურობას, ცოცხალ ეკოსისტემებსა და ცოცხალ გეოლოგიურ პროცესებს. კოლხეთისა და მტირალას ეროვნული პარკები და კინტრიშისა და ქობულეთის დაცული ტერიტორიები აღნიშნულ კრიტერიუმებს სრულად აკმაყოფილებს.

№ეროვნულიპარკები
№დაცულიტერიტორიები

## ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა ფოთში



ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა, ქალაქ ფოთის მერთან, გოჩა კურდღელიასთან და სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის პირველ მოადგილესთან ნინო ვიბლიანთან ერთად, ფოთში, საზღაო სექტორში დასაქმებულთა ვაქცინაციის პროცესს დაესწრო.

ნათია თურნავას განცხადებით, ეს ის სფეროა, რომელიც უსაფრთხოდ ფუნქციონირებდა დღემდე და მიუხედავად კოვიდისა, ჩვენი პორტები არც ერთი წამით გაჩერებულან. მისივე თქმით, ასე უნდა გაგრძელდეს მომავალში და რისთვისაც უტყუარი გზა არის ვაქცინაცია.

„პრემიერ მინისტრის დავალებით, პირადად ვაორგანიზებ და ვესწრები კიდეც მსხვილი დამსაქმებელი კომპანიების, მნიშვნელოვანი სექტორების თანამშრომლების ვაქცინაციას - დღეს ფოთში ვიმყოფები, სადაც საზღვაო, საპორტე ინფრასტრუქტურაში დასაქმებული ადამიანების ვაქცინაცია მიმდინარეობს. ესენი არიან ფოთის ტერმინალის, პორტის თანამშრომლები და საზღვაო სექტორის წარმომადგენლები ფოთში“, - აღნიშნა მინისტრმა.

ნათია თურნავას შეფასებით, ვაქცინაცია არის ერთადერთი გზა, რითიც შესაძლებელია შევაჩეროთ და შევებრძოლოთ პანდემიის გავრცელებას, ამავდროულად, არ ჩავკეტოთ ეკონომიკა და პირიქით, ხელი შევუწყოთ ეკონომიკურ ზრდას.

„მასობრივი ვაქცინაცია საქართველოში დაწყებულია, გვაქვს საკმარისი რაოდენობის დოზები, 2 მილიონი სხვადასხვა ტიპის ვაქცინა არის შემოტანილი ქვეყანაში და კიდევ შემოვა დამატებით „ფაიზერის“ მილიონი ვაქცინა. დიდი მოთხოვნაა ყველა მწარმოებლის ვაქცინაზე, მათ შორის განსაკუთრებით „ფაიზერს“ ელოდა ჩვენი მოსახლეობა და არის შესაძლებლობა, ყველა დარეგისტრირდეს და არსებული წესის მიხედვით ჩაიტაროს ვაქცინაცია“ - აღნიშნა ეკონომიკის მინისტრმა.

## ფოთს პოლონეთის რესპუბლიკის, ზედა სილეზიის რეგიონის სამთავრობო დელეგაცია სტუმრობდა



ფოთს პოლონეთის რესპუბლიკის, ზედა სილეზიის რეგიონის სამთავრობო დელეგაცია სტუმრობდა.

პოლონეთის სავაჭრო დელეგაციას, სილეზიის სავოევოდოს მარშალს, ბატონ იაკუბ ხევსტოვსკის, სილეზიის სავოევოდოს რეგიონული პარლამენტის თავმჯდომარეს იან კავულოკს, ზემო სილეზიის ფონდის წარმომადგენლებს და დელეგაციის სხვა წევრებს, სამეგრელო-ზემო სვანეთში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი გუგუჩია, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა კურდღელია, საკრებულოს თავმჯდომარე ბექა ვაჭარაძე შეხვდნენ.

ვიზიტის მიზანი საქართველოსთან სამეწარმეო თანამშრომლობის განვითარება, ეკონომიკური აქტივობების დაგეგმვა და აღმოსავლეთ ევროპის მოწინავე ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებაა.

სახელმწიფო ჰიდროგრაფიის სამსახურში გამართულ შეხვედრაზე ფოთის სამრეწველო, სატრანსპორტო და საინვესტიციო პოტენციალზე შედგა საუბარი. სტუმრები ფოთის ნავსადგურისა და თავისუფალი ინდუსტრიული ზონით დაინტერესდნენ.

## სამეგრელო-ზემო სვანეთის კიბერ ფესტივალი - „Poti Cyberfest 2021“




სამეგრელო-ზემო სვანეთის კიბერ ფესტივალი - „Poti Cyberfest 2021“ ფესტივალში მონაწილეობა შეუძლიათ სამეგრელო-ზემო სვანეთის მკვიდრ ახალგაზრდებს.

მონაწილეობის მიღება უფასოა

რეგისტრაციისთვის მიჰყევით შემდეგ ბმულებს გუნდურ სახეობებში: (Dota 2, CS:GO): https://forms.gle/uJr6KtsEXsU4nWNS8

ინდივიდუალურ სახეობებში:: (PES 2021, Tekken 7, FIFA 21, PUBG Mobile, NBA 2k21): https://forms.gle/NG7vATwFqEu9Tf2T8

**რეგისტრაცია დასრულდება 7 აგვისტოს 23:59 საათზე;**

სახეობებში: Dota 2, CS:GO, Tekken 7, PES 2021 - ის გამარჯვებულები რეგიონის სახელით იასპარეზებენ დედაქალაქში, საქართველოს პირველობაზე, მსოფლიო ჩემპიონატის საგზურის მოსაპოვებლად.

ფინალური ეტაპის საპრიზო ფონდია 30,000 ₾

გისურვებთ წარმატებებს!

## ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა კურდღელიამ მოადგილეებთან -ალექსანდრე ტყებუჩავასთან და მამუკა პაპასკირთან ერთად ა(ა)იპ ბავშვთა ცენტრის აღსაზრდელებს სახლის ვიდეო თამაშების კონსოლი (PlayStation 4) გადასცა



ამა წლის 11 ივნისს, მერის პირველი მოადგილე ალექსანდრე ტყებუჩავა ბავშვთა ცენტრში იმყოფებოდა, სადაც აღსაზრდელებს გაესაუბრა. მათი სურვილისამებრ, მერის პირველი მოადგილის ჩართულობით, კომპანია შპს „პალიასტომი 2004"-მა ცენტრის აღსაზრდელებს PlayStation 4 შეუძინა.

ფოთში სოციალურად შეჭირვებული და დედ-მამით ობოლი ბავშვებისათვის ბავშვთა ცენტრი 1999 წლიდან ფუნქციონირებს, სადაც დღესდღეობით 8 ბავშვი ირიცხება. მათ აქ სწავლა-განვითარებისათვის შექმნილი გარემო აქვთ, ყავთ აღმზრდელები, სასკოლო საგნებში დამხმარე პედაგოგები.

ბავშვთა ცენტრი ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება.

## ფოთის ცენტრალური საავადმყოფო- „ბომონდში“ ფუნქციონირება დაიწყო დიალიზის ცენტრმა.



თანამედროვე აპარატურითა და მაღალკვალიფიციური მედპერსონალით აღჭურვილი ცენტრი, ფოთისა და სამეგრელოს რეგიონის მოსახლეობას მოემსახურება.

მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელთაც დიალიზის გეგმიური პროცედურის ჩატარება ესაჭიროებათ, აღნიშნული პროცედურისთვის სხვადასხვა ქალაქში უწევდათ სიარული.

„ფოთის ცენტრალური სავადმყოფოში - ბომონდი", უკვე რამდენიმე თვეა, სრული დატვირთვით ფუნქციონირებს სამეანო-ნეონატოლოგიური და გინეკოლოგიური განყოფილებები. ახალშობილთა შუალედური მოვლის ინტენსიური პალატა, ქალთა კონსულტაცია, ამბულატორიული სამსახური და თანამედროვე დონის ლაბორატორია, რომელიც 24 საათიან რეჟიმში მუშაობს, სრულყოფილ მომსახურებას უწევს საჭიროების მქონე პირებს.

კლინიკაში მოწყობილია რადიოლოგიური დეპარტამენტი, დამონტაჟდა თანამედროვე აპარატურა ციფრული რენტგენი და კომპიუტერული ტომოგრაფია.

## მილოცვები

თენგო წულაიას დაბადების დღეს ულოცავს დეიდაშვილი ემზარ კილასონია

〰〰〰

ნოდარ ბჟალავას ულოცავს დაბადების დღეს დისშვილი ემზარ კილასონია

〰〰〰

ანტონ დემანიას ულოცავს დაბადების დეს ემზარ კილასონია

## ფოთის სანაპირო ზოლზე შტორმის შედეგად დიდი რაოდენობის ნატანი და ხის მორები გამოირიყა



დილიდან, გაწმენდით სამუშაოებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „ სერვისების ცენტრი” ახორციელებს.

ადგილობრივებისთვის და დამსვენებლებისთვის კომფორტული გარემოს შექმნის მიზნით, სანაპირო ზოლის დასუფთავების სამუშაოები სისტემატურად მიმდინარეობს.

<u>წიგნის თარო</u>

# გამოვიდა ალექსანდრე (ალეკო) დოლბაიას მორიგი ლექსთა კრებული სახელწოდებით „ჰორიზონტს მიღმა"

## დიდი პოეტური თვალსაწიერი



ალექსანდრე (ალეკო) დოლბაია რომ უნიჭიერესი კაცია კარგადაა ცნობილი საქართველოს პოეზიის მოყვარულთათვის, მაგრამ ამას წინათ გამოცემულმა მისმა ახალმა ლექსთა კრებულმა „ჰორიზონტს მიღმა" სიხარული, გაოცება და ფურორი მოახდინა მკითხველზე.

მისი ლკექსთა კრებული ნათელი მაგალითია, იმისა, თუ როგორი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდო პოეტის სახელს, რუსთაველის და გალაქტიონის ქვეყანაში. არ არის ადვილი გერქვას პოეტი, მაგრამ ალეკო დოლბაიამ ამ კრებულის გამოცემით დაამტკიცა, რომ იგი იმსახურებს პოეტის სახელს. დღეს ლექსს ბევრი წერს და წიგნებიც უამრავი იბეჭდება. ამ სამწერლოსაგამომცემლო ქაოსსა და განუკითხაობაში სამწუხაროდ, თითქოს გაუფასურდა კიდეც პოეტური სიტყვა და პოეტის სახელი, მაგრამ ალეკომ ამ კრებულით დაამტკიცა, რომ იგი პოეზიის პარნასზე თავს თავისუფლად გრძნობს. აი, რას წერს თავად ავტორი.

ეს რა ცეცხლი წაგვიკიდე, როგორ აღგვანთე და დაგვწვი, ბატონო ალეკო. ქართველმა კაცმა ხომ ყველაზე უკეთ იცის ლექსის ფასი. ლექსთა კრებულში მთელი სამყაროა თავმოყრილი, დიდი სიყვარული აქვს ჩაქსოვილი, ეროვნული გმირების ზვიადისა და მერაბის მიმართ:

სიყვარულით მოქარგულ სიტყვებს უძღვნის იგი მშობლიურ ქალაქს:

განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ მეუღლისა და შვილებისადმი მიძღვნილი ლექსები.

ძალზე საინტერესოა ალეკო დოლბაიას მიერ გადმოქართულებული **მურთაზ ჩახავას** ლექსები. მან ხომ პოლიგრაფიულად უმაღლეს დონეზე გამოსცა იგი, რაც დღეს იშვიათობას წარმოადგენს.

მოკლედ ვერ გადმოსცემ იმ აღფრთოვანებას, რაც იწვევს ალეკო დოლბაიას ლექსთა კრებული „ჰორიზონტს მიღმა".

გვჯერა ალეკო მომავალშიც ბევრჯერ გაგვახარებს ახალ ლექსთა კრებულით, რამეთუ როგორც იგი წერს - ლექსია ჩემი სულის კომფორტი.

ვუსურვებთ მას დიდი ხნის სიცოცხლეს, ჯანრთელობას და შემოქმედებით წარმატებებს.



ი. სპერი

P.შ. აქვე გთავაზობთ ალეკო დოლბაის ლექსს- „ჰორიზნტს მიღმა"

ჰორიზონტს მიღმა
(სონეტი)

გადაეფარა სხეულს გრძნობა თეთრი ზეწარი,
თვალები შუქის ანარეკლი, დაგმეს ფარდებმა,
თეთრიული ნისლს გამოაკლდა, ცხედარი
და დედამიწის სიღრმისაკენ მიემართება.

ჩნდება სულერთში ჩასახული ხედვა მომავლის,
ფერი ედება მოკაშკაშე კაბადონს ცისას,
ენაცვლებიან მექზღვაურნი ნიჩაბს ხომალდის,
უკიდეგანო სივრცისაკენ მგზავრი რომ მიჰყავს.

განახლებული დაიწყება დრო და თარიღი,
ჰორიზონტს მიღმა გადაიფრენს სხივით გონება,
შეუდგებიან ატლანტივით კედლებს თაღები,

ასტრალურ სვეტებს ანგელოზი ფრთებით დაიცავს...
მალე იხილავს მოგზაური, მზით ნატარები,
უდიდეს ძალას მაცხოვრისას და ნეტარების...

# მოულოდნელი გარდუვალობა



როდესაც ქრისტე გაფრთხილებს მოსალოდნელ გარდუვალობაზე ღმერთს მადლობას სწირავ და ამბობ-დაგვიფარე წმინდაო მარიამ. ადამიანი თუ სინდის ნამუსს არ წარმოადგენს, უკვე ცხოველური ინსტინქტის მატარებელი ხდება. და თავისთავად მთელი მისი ყურადღება ეკონომიურ თვალსაზრისთანაა დაკავშირებული. მედალიონს კი მოგვეხსენება ორი მხარე აქვს. -კეისარს მიეცით კეისრისა, ღმერთს ღმრთისა-ამბობს ქრისტე, რამეთუ გაინტერესებს სიცოცხლე, თავისთავად სიცოცხლის შემცველი ელემენტებიც უნდა გაინტერესებდეს. გავიხსენოთ გოეთეს ფაუსტიდან: მეფისტოფელი; როგორ გინდა სიცოცხლე მოსპო, როდესაც სიცოცხლე ყველაფერშია, ცივში, ცხელში, ცეცხლში, წყალში. ხეში, ქვაში, ყინულში თუ სად არ წააწყდები. და თითქოს ხელს იღებს ეშმაკი სიცოცხლის მოსპობაზე, მაგრამ დახეთ! ცდილობს ადამიანი პატიოსანი კაცი, სინდის-ნამუსიდან გაანთავისუფლოს, გაძარცვოს, სირცხვილის გრძნობა დაუკარგოს. გავიხსენოთ ისევ ქრისტეს ქადაგება: და გეუბნებით თქვენ, ჩემს მეგობრებს, ნუ გეშინიათ იმათი, რომელნიც კლავენ ხორცს, მაგრამ სხვას ვეღარას გავნებენ თქვენ, არამედ გიჩვენებთ ვისი გეშინოდეთ: გეშინოდეთ იმისა, ვისაც თქვენი მოკვლის შემდეგ შეუძლიათ ჩაგაგდოთ გეენას. დიახ, გეუბნებით თქვენ, მისი გეშინოდეთ. სახარება ლუკასი (12.4.5.) ამდენად, ვინც ათვითცნობიერებს სახარებას, ცდილობს სახარებით იცხოვროს. მიუხედავად იმისა ეკლიანია, ღვთის შემოთავაზებული გზა, ქრისტიანი მაინც არ თმობს, რამეთუ იცის, ქრისტეს ნატერფალს მიუყვება, წამს, მაღალ ღმერთს წმინდათა წმინდას უახლოვდება. წმინდათა-წმინდასთან დაკავშირებით ჩვენ ქართველებს მაინც, შორს არ მოგვიწევს წასვლა, რამეთუ აგერ ახლა გათხარეს გაბრიელ ბერის საფლავი, საიდანაც მირონი მოედინებოდა. ოთხი წლის დამარხული კაცის. და აღმოჩნდა დიდება მის სახელს, გვამი უხრწნელი და რა გასაკვირია იქ მოიყაროს კაცმა მუხლი და არ დათმოს, შეეწიროს კიდეც, სადაც ჭეშმარიტების საძირკველს-სათავეს წააწყდება. რაც ღვთის გამოცხადებასთანაა დაკავშირებული, ყოველთვის იდუმალებით იყო და იქნება მოცული და ამადაც ამბობს უფალი, ვისაც თვალი აქვს იმან შეხედოს, ვისაც ყური აქვს იმან მოისმინოსო. და ნუ დაგავიწყდება, რაც ღმერთთანაა დაკავშირებული, ჭეშმარიტების არეალშია მოქცეული. თავისთავად მადლმოსილებას განიცდის, მისი მოზიარე და მოგეხსენებათ ამადაც უკვირდათ ფარისევლებს, როდესაც ეკითხებოდნენ ქრისტეს-ჩვენ რატომ არ გვესმისო შენი? ქრისტე კი პასუხობს:-მე ღმერთს ვქადაგებ, თქვენ კიდევ ღმერთი არ გაინტერესებთ და აბა საიდან გაიგებთო ჩემსას და ვინ ცის, წუთისოფელში რამდენ მსგავს შემთხვევას აქვს ადგილი, ღმერთი ხომ ყველგანაა, არავის არ ტოვებს და თანაც არა ოთხი წელიწადი, არამედ 400 -500 წლის შემდეგაც წმინდანის ნეშტი უხრწნელი, აღმოჩენილა და აბა ვით არ ვადიდოთ მამა ყოვლისა მპყრობელი და არ მივანდოთ სული, როდესაც ასეთ საოცრებებს ვხედავთ. და ვით ვთქვათ უარი, იმ წმინდა და წმინდა გზაზე ქრისტემ რომ განვლო ჩვენს საწამებლად. ეშმაკი ყოველთვის შეეცდება და ცდილობს კიდეც, რაც შეიძლება ეკლიანი გახადოს მეტად და მეტად აუტანელი შეუძლებლად რომ მივიჩნიოთ ქრისტეს ნატერფალზე ფეხის მოკიდება, მაგრამ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, ღმერთი ყოველთვის გაგვაძლიერებს. ამადაც ვამბობთ ხოლმე-ჩვენთან არს ღმერთი. როგორც მაგალითად ტარიელისთვის იყო საჭრო და აუცილებელი ავთანდილის გამოცხადება. ავთანდილი (სულიწმინდა)ტარიელს მიაგნებს ყველაზე უგემურ ქვეყანაში სწორედ მაშინ, როდესაც ტარიელს მანუგეშებელი ხმა არსაიდან ესმის, სადაცაა გულის მოსაოხებელი ცრემლიც გაუშრება, ასმათს რომ ეუბნება: - დაო ასმათ, ხიდნი ზღვასა ჩაგვიცვივდეს, ვეღარ მივხვდით ჟამიერად ჩვენ ვისნიცა ცეცხლი გვწვიდეს, ამდენად ჩვენ ვხედავთ ყველა გზა ჩაეკეტა ტარიელს, ისე, რომ, ერთი ნაბიჯიღა აშორებს სასოწარკვეთილებამდე. და ამ დროს, ვით ნუგეშისცემის ჩაუქრობელი ლამპარი ცხადდება ავთანდილი (სულიწმინდა) და როგორ გავს მოსეს მიერ ებრაელების გამოყვანა ეგვიპტიდან ტარიელისა და ავთანდილის ურთიერთობას, რომ არა ღმერთი, მშიერ-მწყურვალი ამოწყდებოდნენ უდაბნოს ველზე ებრაელები და სხვა, და აქაც რომ არა ავთანდილი (სულიწმინდა) ტარიელი უკვე ფარხმალ დაყრილია- ზღვასა ხიდნი ჩაგვიცვივდეს. აღიარებს ტარიელი, რომ უკვე წასასვლელი გზა არ უჩანს, ქრისტე გავიხსენოთ, მოციქულებს ეუბნება: მე წავალ, უმჯობესია რომ წავიდე, თქვენ სულიწმინდას მოგივლენთ სულიწმინდის მადლი გადმოვა თქვენზე. ის გაგაძლიერებთ, რათქმაუნდა, ქართველ კაცს მინდა ვუთხრა, როგორც რუსთაველი ამბობს, „ჭირსაშიგან გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსაო".-გამაგრდეს, გამაგრება კი ლოცვის გარეშე შეუძლებელია. ისევ სახარება გავიხსენოთ. ქრისტე იერუსალიმში შესასვლელად ემზადება. იცის ჯვარს უნდა ეცვას, ძალთა მობილიზებაა საჭირო და ლოცულობს. მოითხოვე და მოგეცემა, ბრძანებს უფალი, ჩვენც უნდა მოვითხოვოთ, მხოლოდ ღვთისაგან. და უნდა ვევედროთ გაგვაძლიეროს. ნუ გვავიწყდება, საქართველო ჩვენი სიძლიერით უნდა გაბრწყინდეს. ასევე, მარიამ ღვთისმშობლის შესახებ მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა. შევეცადოთ არსებით სახელში. მარიამ განთავსებულ ნიშანდობლიობას მოუძებნოთ ახსნა. სადაც თავსართი და ბოლოსართი „მან" ასოსგან შედგება, შიგთავსში კი ვკითხულობთ, „არია." ეხლა მოვუსმინოთ ქრისტეს; მოვედი რათა ცეცხლი მოვდო ამ ქვეყანას, და სხვა რა მსურს, გარდა იმისა, რომ ახლავე იფეთქოს. იქნებ გგონიათ, რომ მოველ, რათა მშვიდობა მომეტანა ამ ქვეყნად? არა გეუბნებით თქვენ. არამედ განხეთქილება, რადგან ამიერიდან, ერთ სახლში. ხუთი განუდგება ერთმანეთს. სამი ორს და ორი სამს . დიახ განდგება მამა ძისაგან და ძე მამისაგან. დედა ასულისაგან და ასული დედისაგან. დედამთილი რძლისაგან და რძალი დედამთილისაგან. სახარება ლუკასი თავი 12.49-50-51-52-53. რათქმაუნდა ქრისტე გვაფრთხილებს მოსალოდნელ გარდუვალობაზე. რომ ბოლო ჟამში მარჯვნივ დავისვამ ცხვრებს და გადავარჩევ, მარცხნივ დავისვამ თხებს და დავხოცავო. ღვთისმშობლის სახელში განთავსებული სახელი მ-არი-ამ. არიათი მიგვენიშნება რომ ყველა მაცდურს ტვინს აურევს. ისე, რომ სააშკარაოზე გამოვა ყველა და იტყვის.-ჩემი სხეული მე მეკუთვნის. რასაც მინდა იმას გავაკეთებ. როგორც მინდა ისე ვიცხოვრებ და სხვა ერთი წუთითაც ვერ დაფიქრდება ეშმაკის მოციქული. რაღაცით მაინც გამოავლინოს რიდი, ასევე მივაქციოთ ყურადღება, ქრისტემ თავისი ყველა საქმე თორმეტ მოციქულს გადააბარა. თორმეტ მოციქულს დაევალათ ექადაგად ქრისტეს სახარება და აქაც. არსებითი სახელი მ-არია-მ. თავსართი და ბოლოსართი „მან" ასოსგან შედგება. ქართული ანბანის რიცხვით. მეთორმეტე „მან" ასოა და აქაც ჩვენ ვხედავთ ლუკას სახარებაში თავი მეთორმეტე გვიმხელს: -იქნებ გგონიათ რომ მოვედი რათა მშვიდობა მომეტანა ქვეყნად-ო. რათქმაუნდა ბედნიერებაა რომ, მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა საქართველო და მისი სამოსი (კვართი) საქართველოში (ზუგდიდში) ინახება. მაგრამ კარგად უნდა გვახსოვდეს მედალიონს ორი მხარე აქვს, ისევ ქრისტე გავიხსენოთ - ვისაც მეტი მიეცა, მეტი მოეთხოვებაო-ამბობს.

ღვთისმშობელი ფარავდეს ჩვენს ბედს.

დავით ჩირგაძე

რევაზ პაპუაშვილი

„ფაზისის“ საერო-სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსი

### კოლხეთი-ცივილიზაციის აკვანი

# კოლხეთის უძველესი ოქრო




დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე უადრესი ოქროს ნივთები აღმოჩენილია მარტყოფის, საჩხერის, ალაზნის ველის, ბედენისა და თრიალეთის ყორღანულ სამარხებში. ამ ძეგლებისა, და შესაბამისად აქ მოპოვებული ოქროს სამკაულის თარიღები ადრებრინჯაოს დასასრულითა და შუაბრინჯაოს ხანით – ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით და ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრით განისაზღვრება.

საქვეყნოდაა ცნობილი, და საქართველოს საგანძურის ნაწილს შეადგენს არქეოლოგიური გათხრებით თუ შემთხვევით აღმოჩენილი ოქროსაგან დამზადებული ხელოვნების ნიმუშები: ვანიდან, საირხიდან, ახალგორიდან, ქობულეთიდან და საქართველოს სხვა კუთხეებიდან. მათი თარიღები ადრეანტიკური ხანით – ძვ. წ. V საუკუნით და შემდგომი დროითაა განსაზღვრული.

თრიალეთის ყორღანული სამარხების ეპოქიდან ვანის მდიდრული სამარხების ეპოქამდე ათასი წელია გასული. დროის ამ ათსაუკუნოვან მონაკვეთში (ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან, ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებამდე), არც აღმოსავლეთ და არც დასავლეთ საქართველოში ოქროს წარმოების დამადასტურებელი ფაქტები (თუ მხედველობაში არ მივიღებთ XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. დასაწყისში შემთხვევით აღმოჩენილ ოქროს სამკაულს, რომელიც ფარცხანაყანევის (ტაბ. I), ჭუბურხინჯის და ნოსირის (ტაბ. II) განძებითაა ცნობილი, და რომელთა თარიღები ზოგადად წინარეანტიკური ხანით, კონკრეტულად კი ძვ. წ. VIII-VII სს-თაა განსაზღვრული), უკანასკნელ წლებამდე არ შეინიშნებოდა.

დიდი ბერძენი გეოგრაფიოსი სტრაბონი, ოცი საუკუნის წინ, კოლხეთის შესახებ გვაუწყებდა – „თუ რაოდენ სახელგანთქმული იყო ძველად ეს ქვეყანა, ამას მოწმობს მითები იაზონის ლაშქრობაზე, ხოლო მასზე ადრე ფრიქსეს (ლაშქრობაზე) .... ამ ქვეყნის სიმდიდრე ოქროთი, ვერცხლითა და რკინით იყო ნამდვილი მიზეზი ამ ლაშქრობისა“.

სტრაბონის მიერ ხსენებული ფრიქსესა და იაზონის ლაშქრობები ოქროთი მდიდარ ქვეყანაში, მკვლევართა ვარაუდით, ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულს ან ძვ. წ. I ათასწლეულის საწყის საუკუნეებში უნდა მომხდარიყო, ე. ი. იმ ეპოქაში, რომელშიაც ოქროს წარმოების მიმანიშნებელი ფაქტები არ მოგვეპოვებოდა, თუმც ივარაუდებოდა. ვარაუდის საფუძველს სტრაბონის აღნიშნული ცნობა და კოლხეთში ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანების მრავალრიცხოვანი და თანაც მაღალმხატვრული ოქრომჭედლობის ნიმუშების აღმოჩენის ფაქტები იძლეოდა. ღვივდებოდა ინტერესი ოქრომჭედლობის იმ კერის მოძიებისა, რომლის საფუძველზედაც უნდა აღმოცენებულიყო და შექმნილიყო, მხატვრულ-ტექნოლოგიური თვალსაზრისით, ისეთი სრულყოფილი არტეფაქტები, როგორებსაც ვანისა და საირხის მდიდრულ სამარხებში ვხვდებით.

როდესაც გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ პროფესორ თეიმურაზ მიქელაძის ხელმძღვანელობით დაიწყო მიზანმიმართული მუშაობა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის, ანუ ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისა და ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრის სამაროვნების მოძიებისა და შესწავლის მიზნით, თავისებურ, მხოლოდ კოლხეთისათვის დამახასიათებელ დიდ კოლექტიურ სამარხ-ორმოებში მიცვალებულთათვის ჩატანებულ სხვადასხვა კატეგორიის მრავალრიცხოვან ნივთებთან ერთად აღმოჩნდა ოქროსაგან დამზადებული სამკაულიც. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კოლხურ კოლექტიურ სამარხებში ხშირად რამდენიმე ასეული მიცვალებულის ნეშტია დამოწმებული. ქვის, თიხის, ბრინჯაოს, რკინის, ვერცხლისა და მრავალგვარი მინერალისაგან დამზადებული მძივსამკაულის რაოდენობა ხშირად ათას ერთეულს აჭარბებს.

კოლხურ სამარხებში ოქროს აღმოჩენის მნიშვნელობა განსაკუთრებულია შემდეგი გარემოებების გამო: 1) აქ აღმოჩენილი ამ ძვირფასი ლითონის ნაწარმი მეცნიერულადაა დოკუმენტირებული თანმხლები არქეოლოგიური მასალის გარემოცვაში, განსაზღვრულია, თუ როგორ მოხვდნენ ისინი აღმოჩენის ადგილზე, 2) ამ ნივთების დამზადებისა და განმარხების დრო ქრონოლოგიურად ემთხვევა ასირიულ, ურარტულ და ძველბერძნულ წერილობით წყაროებში კოლხეთის პირველ მოხსენიებას. დროსა და სივრცეში შეესაბამება არგონავტიკის პირველ ვერსიებს და ახლოს დგას იმ რეალიებთან, რაც მითის ამ ვერსიებშია ასახული და 3) აღნიშნული სამკაული სულ მცირე სამი საუკუნით მაინც უფრო ძველია, ვიდრე დღემდე საქვეყნოდ ცნობილი ვანისა და საირხის უბრწყინვალესი ნიმუშები.

კოლხური ოქროს ხსენებული ნაწარმი, რომელზედაც ამჟამად ვამახვილებთ ყურადღებას, სხვადასხვა პერიოდული ლიტერატურიდან სპეციალისტთა მხოლოდ ვიწრო წრისათვისაა ცნობილი, ისიც გრაფიკული ჩანახატებითა და შავთეთრი ფოტოანაბეჭდებით. ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს უძველესი კოლხური ოქროს ერთად წარმოდგენა და გაცნობა, შესაბამისი კონტექსტითა და ილუსტრაციით.

ზუგდიდის რაიონის სოფლებში: ერგეტასა და ცაიშში, ხობის რაიონის სოფელ დღვაბაში და ოზურგეთის რაიონის სოფელ ურეკში სხვადასხვა დროს 14 სხვადასხვა სამარხში აღმოჩენილი ოქროს ნივთები ჯერ-ჯერობით უძველესია კოლხეთის ტერიტორიაზე. მათი თარიღები, ზოგადად, ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევრითაა განსაზღვრული და თანმხლები სამარხეული ინვენტარის საფუძველზე ოთხ ქრონოლოგიურ ურთიერთმონაცვლე ჯგუფში ნაწილდება.

უადრესი ნიმუშები, ჩვენს მიერ შემუშავებულ კოლხურ სამარხ-ორმოთა აბსოლუტური ქრონოლოგიის სკალაზე განთავსებულ II ჯგუფის, ანუ ძვ. წ. VIII ს. პირველი ნახევრით (ან უფრო ზოგადად, ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედით) დათარიღებულ სამარხეულ კომპლექსებში გვხვდება, ესენია: თხელი ფურცლისაგან (ე. წ. ფოლგა) დამზადებული მძივების გარსაკრავის ფრაგმენტები ერგეტის I სამაროვნის №2 სამარხიდან (ტაბ. III); დიდი ზომის ფუყე მძივი ერგეტის III სამაროვნის №2 სამარხიდან; მრგვალგანივკვთიან ღეროზე მირჩილული ათი ბურთულისაგან შედგენილი საყურე ერგეტის IV სამაროვნის №2 სამარხიდან (ტაბ. IV); ბრტყელი ფურცლისაგან დამზადებული ერთნახევარი ხვია, რომლის ბოლოებიც დამრგვალებულია და სპირალურად დახვეული დღვაბის №1 სამარხიდან (ტაბ. V); ანალოგიური ხვია, სატევრებისა და ორმაგი ცულების ფორმის საკიდები, გაურკვეველი ნივთის შესამკობათ განკუთვნილი ფირფიტები, აგრეთვე ნაირგვარი ფორმისა და ზომის მძივები ცაიშის №2 სამარხიდან (ტაბ. VI).

უფრო მოგვიანო, ძვ. წ. VIII ს. მეორე და ძვ. წ. VII ს. პირველი ნახევრით დათარიღებულ III ჯგუფის (განსაკუთრებით მდიდრულ) სამარხეულ კომპლექსებში გვხვდება: წნულის იმიტაციის მქონე ღეროების ბოლოზე ცვარას ტექნიკით შესრულებული დრაკონების გამოსახულებიანი ორი რგოლი ურეკის №3 სამარხიდან (ტაბ. VII); ფურცლოვანი გარსაკრავით დაბოლოებული წნულღეროიანი წყვილი რგოლი, ბურთულებით და კოპებით შემკული ფურცლოვანი ცილინდრებისაგან შედგენილი მძივები ერგეტის I სამაროვნის №5 სამარხიდან (ტაბ. VIII); სადა რგოლი ერგეტის II სამაროვნის № 4 სამარხიდან (ტაბ. IX); რომბისებური ფორმის საკიდი სვასტიკის ჭვირული გამოსახულებით, სამკუთხა საკიდები სიბრტყეზე სხვადასხვა გეომეტრიული გამოსახულიბებით, ცვარათი შედგენილი და ფურცლოვანი ოქროთი დამზადებული ოპალის თვლებით შემკული წყვილ-წყვილი საკიდები, სატევრის ვადა, ქარქაშის გარსაკრავი (?), აგრეთვე სხვადასხვაგვარი მძივები და გაურკვეველი დანიშნულების ფრაგმენტები ცაიშის სამაროვნის №1 სამარხიდან (ტაბ. X-XIII). ამავე ჯგუფში უნდა გაერთიანდეს დრაკონის შესანიშნავი გამსახულება მუხურჩის ქვედა დასაკრძალავი მოედნიდან (ტაბ. IX).

კოლხური სამარხები, საიდანაც მსგავსი და განსხვავებული ნიმუშების აღმოჩენაა სავარაუდო, შესწავლის საწყის სტადიაშია. მიკვლეულია და არქეოლოგიური გათხრების გაგრძელებაა საჭირო ისეთ ძეგლებზე, როგორიცაა: ცაიშის სამაროვანი, ზუგდიდის რაიონში; სალხინოს და კურზუს სამაროვნები მარტვილის რაიონში; ნამარნუსა და ობერგულეს ნამოსახლარები აბაშის რაიონში, ყულევის ცივის ნაპირზე მდებარე ნამოსახლარი და სხვა.

# საზღვაო ქალაქს საზღვაო მუზეუმი უნდა ჰქონდეს

## ივანე ჯავახიშვილი: „საქართველოს ისტორია არ უნდა იყოს გაყალბებული და იგი უძველესი კოლხეთის ისტორიით უნდა იწყებოდეს“

1918 -1921 წლებში დამოუკიდებელ საქართველოში შავი ზღვის სანაპირო ზოლი შეადგენდა 450კმ-ს. კომუნისტური მმართველობის დროს ეს ზოლი შემცირდა 310კმ-მდე. 1990 წელს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დარჩა იმავე 310 კმ-ის ფარგლებში და ეს საზღვარი დღემდე ცნობილია გაეროს მიერ, მაგრამ საქართველოს მხრიდან ცნობილი მოვლენების შემდეგ კონტროლირებადია მხოლოდ 130 კმ. 180კმ. კი ანაკლიიდან ფსოუმდე ფორმალურად კონტროლდება დეფაქტო აბხაზეთის მიერ, რეალურად კი რუსეთის მიერ.

180 კმ-ის შესაბამისი საზღვაო სივრცე ნაპირიდან 12 მილიონ ზონაში ნეიტრალურ წლებამდე შეუღწევადია საქართველოს ყველა სახის მცურავი საშუალებებისათვის. ანუ ტერიტორიების ჯამურად 20% დაკარგვის პარალელურად აკვატორიის დანაკარგი 60% ფარგლებშია.

ისტორიულ წარსულში ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მრავალი ათასწლეულების მანძილზე საქართველოს (აია, კოლხიდა, კოლხეთი, იბერიას შავი ზღვის სანაპირო ზოლის სიგრძე 610 კმ-საც აღწევდა.



საზღვაო სივრცეს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა გარე სამყაროსთან ურთიერთობაში წარსულში და ასეთივე მნიშვნელობას ინარჩუნებს დღესაც, რამეთუ ის ქმნის თბილისი-ფოთი ღერძთან ერთად ერთგვარ ინტერტრანსმოდალურ კორიდორს, რომელსაც ყველაზე მოკლე და იაფი გზებით მივყავართ თანამედროვე ჩრდილო ატლანტიკურ ცივილიზაციასთან.(ძველ ელიტეროანულ სივრცესთან), რომლის შექმნაში უძველეს კოლხურ ტომებს პელაზგებს და ეტრუსკებს უკანასკნელი როლი არ ეკუთვნით.

საქართველოში, მის დასავლეთ ნაწილში ოდითგანვე კონტროლირებად საზღვაო სივრცესთან ხდება 42 გრძედისა და 42 განედის კვეთა. და არა მხოლოდ ამ მიზეზით, ის წარმოადგენს გზაჯვარედინს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. სამხრეთსა და ჩრდილოეთს შოროს.

იმპერატრიცა ეკატერინ ე II 1774წლიდან 1784 წლამდე იგნორირებას უკეთებდა ერეკლე II-ის შეთავაზებას მფარველობის ხელშეკრულების დადების შესახებ და ამავე პერიოდში უშედეგო საკუთარ შეთავაზებას სთავაზობდა მეფე ლუარსაბ II -ეს, რა თქმა უნდა უპირველეს ყოვლისა, საზღვაო სივრცესთან დაკავშირებით.“

საქართველოს საზღვაო სივრცე დამცრობილი მოცულობითაც გეოფიზიკური და გეოსტრატეგიული მდგომარეობის გამო, დღესაც ძალიან მოთხოვნადია ევროატლანტიკური ერთობისათვის. ამიტომ და საკუთარი ინტერესების რეალიზაციისათვის ქართული საზოგადოების ამოცანა უნდა იყოს საზღვაო პოტენციალის სრული გამოყენება, ევროატლანტიკურ სივრცეში დაბრუნება და ინტეგრაცია.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ 2021-ში ფუნქციონირებას დაიწყებს ფოთის საზღვაო აკადემია და იქ სწავლაში ჩაებმება ათასი კურსანტი. ამ მიზნით უკვე დასრულებულია შესანიშავი სვეტებითა და ორნამენტებით დამშვენებული შენობის რესტავრაცია-რეკუნსტრუქცი სამუშაოები. აქვე დაიბადა, ფოთში საქართველოს საზღვაო მუზეუმის დაარსების იდეა. საინიციატივო ჯგუფი, რომელშიც შედიან შერეული ნაოსნობის კაპიტნები, ფოთის საპატიო მოქალაქეები და პენსიონერთა კლუბ „ბერბერას“ წევრები აღნიშნავენ, რომ უნდა განხორცელდეს ძველი კოლხურისაზღვაო მემკვიდრეობის პოპულარიზაცია და ვიზუალიზაცია.

გაზეთში „ნიკოლაძის გზით“ 2020 წელს გამოქვეყნდა საინიციატივი ჯგუფის ღია წერილი საქართველოს მთავრობის მისამართით. წერილში აღნიშნულია , რომ ფოთის საზღვაო ანძის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც თავისუფალია და ირიცხება სახელმწიფოს მფლობელობაში, მრავალი საზღვაო ქვეყნის მსგავსად უნდა მოეწყოს საქართველოს საზღვაო მუზეუმის კომპლექსი. სადაც წარმოჩენილი იქნება კოლხთა ატლანტიდური ფესვები. კარტოგრაფთა და ნაოსათა წაუშლელი კვალი მსოფლიოს ნაოსნობაში. მეფე აიეტის დარბაზი, საიალქნო გემების „არგო“, „ოქროს საწმისი“, „ფაზისი“ -ს მოდელები 1/1 მასშტაბით. ქრისტეფორე კოლუმბის ფლაგმანი გემის „სანტა-მარიას“ მაკეტი, (სადაც სიით შემადგენლობის მე-8 ნომრად ერიცხებოდა კოლხი მეზღვაური გიორგი მოლაშხია). აგრეთვე ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველოს და ბათუმის საზღვაო სანაოსნოს გემების თევზსაჭერი ატლანტიკისა და ტროპიკის ტიპის ტრაულერებისა და ნავთობ გადამზიდი ტანკერების მაკეტები. ფოთში დამზადებული წყალქვეშა ფრთიანი კატორღების „კოლხიდას“ და „კომეტას“ მაკეტები. ფოთის პორტის სამგზავრო გემ „აიუ-დაგის“ მაკეტი. კონტრადმირალ კონსტანტინე თავართქილაძის წყალქვეშა ნავის მაკეტი.

სამუზეუმო კომპლექსი უნდა მოიცავდეს კინოკლუბ „მედეას" ,პრესკლუბის თემატურ ბიბლიოთეკას და ვიდეოთკას, აკვარიუმლაბირინთს, და აპარტამენტს „ერთი დღე ატლანტაში“. (ერთდღიანი გაქირავებით). აგრეთვე სხვადასხვა მომსახურობის ობიექტებს.

აღნიშნულ წერილზე საქართველოს მთავრობის რეაგირებით ცნობილი ხდება, რომ საქართველოს მთავრობა მიესალმება საქართველოში ახალი სამუზეუმო სივრცის დაარსებას და ამ საქმეში ფოთის მუნიციპალიტეტის ჩართულობას, ფოთის მუნიციპალიტეტი კი დღემდე დუმს...

ამრიგად საქართველოს მთავრობამ გახს-



ნა ფანჯარა ფოთში საქართველოს საზღვაო მუზეუმის დაარსებისათვის და ფოთის მუნიციპალიტეტმა დახურა კარები ამ მიზნის მისაღწევად...

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ სამეგრელო-ზემოსვანეთის რეგიონი 2020 წელს „CDMR“ ის წევრი, რომელიც წარმოადგენს საზღვაო რეგიონების კავშირს და აერთიანებს 150 საზღვაო რეგიონს, ის ძირითადად ორიენტირებულია საზღვაო პოლიტიკის განვითარებაზე, არის ევროპული ინსტიტუტების პარტნიორი და ეხმარება რეგიონებს პროექტების შემუშავებაში და ევროკავშირიდან დაფინანსების მოპოვებაში.

იმედი გვაქვს, რომ საქართველოს მთავრობა ღია მმართველობის პირობებში არ დაბლოკავს უძველეს საზღვაო ქვეყანაში საზღვაო მუზეუმის დაარსების იდეას, მით უმეტეს რეალურად ამ იდეას გააჩნია ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერა.

ჯუმბერ კემულარია
საინიციატივო ჯგუფის თავმჯდომარე,
„ფაზისის“ საერო-სამეცნიერო
აკადემიის ნამდვილი წევრი,
ფოთის პენსიონერთა კავშირ „ბერბერას“ თავმჯდომარე.

*p.S. მისასალმებელია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავის ზეიმზე თავის გამოსვლაში, თბილისში სტუმრად მყოფმა პოლონეთის პრეზიდენტმა ანჯეი დუდამ აღნიშა ქვეყნის უძველესი ფესვები სიტყვებით: „კოლხიდა წარსულის მემკვიდრეობა“.*

*მივესალმებით იმასაც თუ კი ასეთი სულისკვეთება პრაქტიკული გამოხატულებით აღორძინდება საქართველოს პოლიტიკურ სპექტრსაც დაველოდოთ და ვნახოთ.*

# პაატა გეგენავა: ჭეშმარიტი კაზაკი საქართველოს წინააღმდეგ არასოდეს გამოვა,ის ჩვენი ისტორიული მოკეთეა

## ინტერვიუ საქართველოს ვეტერანთა ცენტრალური კავშირის ფოთის საქალაქო კავშირის თავმჯდომარესთან, საქართველოს კაზაკთა გაერთიანების სამეგრელო-ზემოსვანეთის ატამანთან, კაზაკთა ერთობის უმაღლესი ჯილდოს ,,ოქროს ვარსკვლავის" კავალერთან, კაზაკთა გენერალ - მაიორ პაატა გეგენავასთან



პაატა გეგენავა:,,ჭეშმარიტი კაზაკი საქართველოს წინააღმდეგ არასოდეს გამოვა, ის ჩვენი ისტორიული მოკეთეა"! (,,კახზაკთა არცერთ გაერთიანებას, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცეში, ასევე მთელ მსოფლიოში, არ დაუფიქრებია მტრული დამოკიდებულება ჩვენი სამშობლოს მიმართ, არ მიუღია მონაწილეობა ქართველთა წინააღმდეგ წარმოებულ საომარ ოქმედებაში და დაგმობილი აქვს ცალკეული პირების მიერ, კაზაკთა სახელით ჩადენილი მტრობა ჩვენი ქვეყნისთვის, უნძიმეს ისტორიულ მომენტებში, ხოლო უკრაინელი კაზაკების თავდადება და თაბგანწირვა, ბევრი მათგანს გმიული სიკვდილი ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ოქროს ასოებითაა ჩაწერილი ჩვენი ხალხების ძმობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში:).

*ბატონო პაატა, თქვენ ამასწინათ უკრაინელი კაზაკების ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, არმიის გენერალმა მიხაილო იამნენკომ მოგანიჭათ კაზაკი ხალხის გმირის წოდება და გადმოგცათ გმირის ,,ოქროს ვარსკვლავი", გილოცავთ ამ აღიარებას, ეს ფაქტი ძალოვან სტრუქტურებში ათეული წლები ნამსახურები, არაერთ საბრძოლო ოპერაცია გამომვლილი ჩინოსნისათვის დიდი დაფასებაა მორალური მადლიერებისა და პატივისცემის გამოხატვაა, როგორ შეხვდით ამ შთამბეჭდავ მოვლენას, როგორც ვეტერანი მებრძოლი, სამხედრო ქართველი ოფიცერი?*

-უნდა გამოგიტყდეთ,რომ უკრაინასა და უკრაინელ ხალხზე შეყვარებული ვარ შორეული 1978 წლიდან, როდესაც მისაღები გამოცდები ჩავაბარე ქ. ხარკოვის ცნობილ სასაწვალო დაწესებულებაში, რომელიც დღეს არის უკრაინის საგანგებო სიტუაციების სამინისტროს სამოქალაქო თავდაცვის აკადემია. დღემდე შენარჩუნებული მაქვს მჭიდრო ურთიერთობები მშობლიური სასწავებლის ხელმძღვანელობასთან, თანაკურსელებთან, კოლეგებთან, რომლბიც უკრაინის სახელმწიფოს ძალოვანი სტრუქტურების ვეტერანები და უკრაინელი კაზაკებიის ერთობის აქტიური წევრები არიან, არ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ კაზაკთა ინსტიტუტის ერთგულება უკრაინელებს ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი და იქ არსებობს ჯაზაკთა კულტი. ოფიციალურად კაზაკთა ერთობაში 7 მილიონამდე ადამიანია გაერთიანებული, და იგი სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოების ძალიან მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ჩემთვის, როგორც ქართველი კაცისთვის ვეტერან ძალოვანისთვის და ასაქართველოს კაზაკთა ერთობის ერთერთი ხელმძღვანელისთვის უდიდესი პატივია ვიყო მოძმე უკრაინელი ხალხის საპატიო წოდების მატარებელი და ძალ-ღონეს არ დავიშურებ ჩვენი ერების ძმობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

*- ვთქვათ პირდაპირ, საქართველოს ზოგიერთი ე.წ. პოლიტიკური ოპოზიციის წარმომადგენელი, რომელთა მიზანი დესტრუქცია და ქვეყანაში არეულობის, ქაოსისა და დაძაბულობის ატმოსფეროს შექმნაა. ყველაფერს აკეთებს, რათა სახელმწიფოს, მის საგარეო და საშინაო პოლიტიკას, მაღალჩინოსნებს, დიპლომატებს, ძალოვან უწყებებს, ვეტერან და მოქმედ სამხედროებს და სამართალდამცავებს რუსეთუმეობა, ყოფილი საბჭოთა კავშირისკენ ლტოლვა დასწამონ. მათ შორის ხართ თქვენც, რომელსაც კაზაკთა მსოფლიო კავშირის უმაღლესი ჯილდო გადმოგეცათ, თქვენსკენაც ისროლეს ტალახის გუნდა დესტრუქციონისტებმა. ამით მათ თქვენს საბრძოლო წარსულს, მხედრულ ღირსებას, ვერაფერი დააკლეს, პირიქით, მაგრამ, საზოგადოებამ ხომ უნდა იცოდეს, რომ კაზაკები ჩვენი მტრები არ არიან. მოკლედ რას გვეტყოდით ამის შესახებ?*

-მტკიცედ გიცხადებთ ჩვენი უახლესი ისტორიის უმძიმესი და პირდაპირ ვთქვათ, -ტრაგიკული დღეების დროს კაზაკთა არცერთ ოფიციალურ სტრუქტურას, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცეში, ასევე მთელს მსოფლიოში ჩვენი ქვეყნისადმი მტრობა არ განუხორციელებია, რაშიც უდიდესი როლი შეასრულა გამოჩენილი ქართველის ეროვნული გმირის ბატონი ჟიული შარტავას უახლოესი თანამებრძოლის, საქართველოს კაზაკთა გაერთიანების დამაარსებლისა და უცვლელი ხელმძღავნელისგენერალ-ლეიტენანტ ვასილი ივანეს ძე კადენეცის ძალისხმევა სახალხო დიპლომატიისა და ურთიერთობებში კაზაკთა სხვადასხვა გაერთიანების ხელმძღვანელ პირებთან განსაკუთრებით, ჩვენს მეზობელ ქვეყნებში. სამწუხაროდ, რიგ შემთხვევებში პირთა ჯგუფები კაზაკთა სახელით მონაწილეობდნენ ქართველთა წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში, რისი ჯეროვანი პასუხიც მათ მიიღეს და არასოდეს დაავიწყდებათ, ხოლო უკრაინელი კაზაკების გმირობა, თავგანწირვა და თავდადება ჩვენი სამშობლოსთვის, ოქროს ასოებით ჩაიწერება ჩვენი ხალხების ძმობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

*- ძალოვანი სტრუქტურების მაღალ ჩინოსნობასთან ერთად, თქვენ ისტორიკოსი ბრძანდებით, ფოთელმა საზოგადოებამ კარგად იცის თუ რაოდენ ძირფესვიანი ცოდნა გაქვთ სამშობლოს ისტორიაში.თითქმის ყველა მოვლენას, ეპოქასა და ეტაპს ზედმიწევნით იცნობთ და მუდამ საინტერესო პარალელებსაც ავლებთ. ჩვენი უახლესი ისტორიის სისხლიანი ფურცლების გადახედვა არცთუ იშვიათად გვიწევს -სამოქალაქო ომი, კანონიერი ხელისუფლებისა და პირველი პრეზიდენტის სამხედრო პუტჩით დამხობა, თბილისის ომი, მხედრიონი, აფხაზეთის დაკარგვა, სამაჩაბლოს დაკარგვა... ისტორიის ირონიად არ მიგაჩნიათ ქართველთა გმირული წარსულის დიდგორის, ბასიანის, ასპინძის, ხრესილის და მრავალი სხვა ბრწყინვალე გამარჯვების ფონზე. ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, გიორგი ბრწყინვალის, დემეტრე თავდადებულის, სოლომონ პირველის, სვიმონ მეფის, პაატა კახის სახელის კვალობაზე.ახლო წარსულში ნანახი მარცხი და საქართველოს ორი ოკუპირებული რეგიონი?*

- თქვენი შეკითხვა უკვე მიმანიშნებს თქვენს გულისტკივილს და მწუხარებას ყოველივეზე, რაც ჩვენს სამშობლოს ნებსით თუ უნებლიეთ, ბოლო 30 წლის განმავლობაში გადახდა. ისტორია გვასწავლის რა არის მომავალი?-მომავალი არის კარგად დავიწყებული წარსული, ერის ნიჭი, ერის ტალანტი, ერის იმპულსი და ენერგია, სწორედ, მაშინ არის მიმართული პროგრესისაკენ, როდესაც ქვეყნის ხელმძღვანელები ღრმად არიან ჩახედული ერის ისტორიაში, ზედმიწევნით იციან პიროვნების როლი ისტორიაში და მომავალს აშენებენ სიმართლესა და სამართლიანობაზე დაფუძნებით.ჩვენი დაშვებული შეცდომები ჩვენვე უნდა გამოვასწოროთ და ამისათვის სახალხო დიპლომატია, მათ შორის, საერთაშორისო ვეტერანული მოძრაობა და მსოფლიო კაზაკთა ერთობა-განვმეორდები-მთელი 7 მილიონი ადამიანი- ჩვენთვის, ქართველებისათვის დიდი იმედი და სიკეთეა, რაც ჩვენ უნდა გამოვიყენოთ საქართველოს საკეთილდღეოდ, ქვეყნის გასამთლიანებლად და დეოკუპაციის განსახორციელებლად.

***-როგორ მიგაჩნიათ დღეს საქართველოში რამდენად არიან დაფასებულნი საბრძოლო ვეტერანები, როგორ არიან ისინი სოციალურად დაცულნი, სრულფასოვანია თუ არა მათი ყოველდღიური ყოფა?***

-მძიმე და მტკივნეული კითხვა დამისვით,მინდა გაგახსენოთ,რომ დღეს ომის ვეტერანი ღებულობს სოციალურ დახმარებას 22 ლარის ოდენოით, რომელიც საქართველოს სახელმწიფომ დაადგინა მაშინ,როდესაც მოქალაქეთა პენსია განსაზღვრული იყო 7 ლარით, შემდეგ 14,38 და ამჟამად პენსია შეადგენს 240 ლარს. ხოლო ვეტერანის 22 ლარს, ისევე მოჯადოებული ციფრია, თუმცა, აქ მთავარი ჩვენი საზოგადოების არაჯეროვანი დამოკიდებულებაა ვეტერანების ღვაწლისადმი, რომელიც ზოგჯერ ტრაგიკომედიურ ფორმას იღებს-,,რაო გამარჯვებულო ქვეყნის ვეტერანები ხართ თუ რა "?-კითხულობს ვიღაც უზრდელი და უვიცი და აბუჩად იგდებს ვეტერანს. არ მოგაბეზრებთ თავს იმის შეხსენებით, რომ თითქმის ბაბუკებით შეიარაღებულმა ერთ-ერთმა ერმა კუდით ქვა როგორ ასროლინა ერთ-ერთ უდიდეს სახელმწიფოს მილიონიან არმიას და დღეს იმ ,,ვეტერანგამარჯვებული" ქვეყნის ყველა ცოცხალი ვეტერანი უდიდესი პატივისცემით სარგებლობს.

***- თქვენ როგორც სამხედრო ჩინოსანს მაღალი რანგის თადარიგის ოფიცერს, საზოგადოების ღირსეულ წევრს, ძალოვან სტრუქტურებში სამსახურის მდიდარი გამოცდილების მქონეს, როგორ გესახებათ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დეოკუპაცია?***

- გამოგიტყდებით, სოციალურმა ქსელებმა საშუალება მომცა აღმედგინა ურთიერთობა ჩემს თანაკურსელებთან, მეგობრებთან, ძმადნაფიცებთან, ვინც მყავადა უკიდეგანო სივრცეებში - ბალტიის ზღვიდან იაპონიის ზღვამდე. ძალიან მინდა პირადად შევხვდე ჩემს აფხაზ და ოს ძმებს, ვინც დღემდე ქართულად მელაპარაკებიან, ვინც გულწრფელად ნანობს მომხდარ უბედურებას ჩვენი მოძმე ხალხები ერთმანეთს ამ ათეული წლების მანძილზე დააშორა. მაგრამ შეუვალი ვარ ჩემს წყენაში, რომელსაც ყველას და ყველგან ვუმხელ-საქართველო იქნება ერთიანი, ძლიერი აყვავებული ქვეყანაქართველთა, აფხაზთა, ოსთა, სომეხთა, აზერბაიჯანელთა, ქურთთა, ბერძენთა, უდინთა, ებრაელთა და სხვათა სამშობლო და ჩვენ აუცილებლად მოვესწრებით იმ დიად ერთობას .

ვიყოთ ოპტიმისტები, გვჯეროდეს, რომ საქართველო ახლო მომავალში შეაღებს ნატოსა და ევროკავშირის კარს?

-ღრმად ვარ დარწმუნებული ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციის აუცილებლობაში და ჩვენი ხელისუფლების ძალისხმევაში ამ მიმართულებით, ვფიქრობ შედეგიანი იქნება და საქართველო ღირსეულ ადგილს დაიკავებს ევროპული ქვეყნების ერთობაში. რაც შეეხება ნატოს ალიანში და საქართველოს გაწევრიანებას, გარწმუნებთ, რომ ნატოსა და სხვა ალიანსების შექმნის ისტორია საკმაოდ კარგად ვიცი და ვფიქრობ, ეპოქალურმა ცვლილებებმა, როგორც ევროპაში ისე მსოფლიოში, ძალიან ბევრი კოლექტივი შეიტანა ნატოს საქმიანობაში. დააკვირდით სისხლისმღვრელ პროცესებს ავღანეთის ტანჯულ მიწაზე, როგრც კი ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ გამოაცხადა კოალიციის ჯარების გაყვანა ავღანეთიდან, დაიწყო თალიბთა ტოტალური საომარი მოქმედებები მთელ ავღანეთის ტერიტორიაეზე განადგურდა და ტყვედ იქნა აყვანილი სახელმწიფო ჯარების დიდი დაჯგუფებები, ქვეყანაში დაისადგურა ქაოსმა, განუკითხაობამ და შიშმა. ვფიქრობ არამარტო ცენტრალური აზიის რეგიონს, არამედ მთლიანად აზიასა და მსოფლიოს ახალი თავსატეხი გაუჩნდება ავღანეთის სახით, დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

**მადლობა საინტერესო საუბრისათვის. კიდევ ერთხელ გილოცავთ მნიშვნელოვან ჯილდოსა და აღიარებას.**

ესაუბრა ლევან ზაქარიაძე

---

**მადლობა**

კარგი ქენი ქვას დაღევი
გაივლი და წინ დაგხვდება

## მერიაშიც არიან კარგი ადამიანები

ამ ხალხური სიბრძნით უნდა იაროს კაცმა ამ ქვეყანაზე, რადგან სიცოცხლე ია-ვარდებით არ არის მოფენილი.

ვცხოვრობ მრავალბინიან კორპუსში და მაქვს ავტოფარეხი რეესტრში გატარებული. ჩემდა საუბედუროდ ავტოფარეხის გვერდით კედელთან ახლოს დავრგე აკაციის ხე, რომელიც გაიზარდა და ძირი ავტოფარეხში ამოიდგა. იმდენად მსხვილი ძირები გაიდგა, რომ ფარეხთან დაგებული ასფალტი გაიბზარა. საჭირო შეიქმნა ხის მოჭრა, რაზეც მივმართე სათანადო ორგანოებს და მივიღე ნებართვა ხის მოჭრაზე, ხეს იმდენი ნარჩენები დარჩა, საჭირო შეიქმნა დასუფთავების სამსახურის ჩარევა. მივმართე სათანადო სამსახურს, მაგრამ არავინ გამომეხმაურება. ბოლოს მივმართე ბატონ **ჯონი გურგენაძეს**, რომელიც მუშაობს მერიაში, მან გულდასმით მოისმინა და დამამშვიდა, წადი სახლში და ყველაფერი მოგვარდებაო. მართლაც რამდენიმე საათში მოვიდა დასუფთავების მანქანა (ამიტომ გამოვიტანე სათაურში: მერიაშიც არიან კარგი ადამიანები), რომელსაც მართავდა **ალექსანდრე ანთაძე** და მუშა **ბორის კონცხელი**. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრიდან. მათ კეთილსინდისიერად შეასრულეს თავისი მოვალეობა და ისე დაასუფთავეს ავტოფარეხის მიმდებარე ტერიტორია, რომ გულწრფელად იმსახურებენ მადლობას.

მადლობა თქვენ კეთილო ადამიანებო, უპირველეს ყოვლისა ბატონ **ჯონი** და ბატონებს **ალექსანდრე** და **ბორის**. მუდამ ასე პირნათლად გეკეთებინოთ კეთილი საქმეები.

ი. სვერი

---

## ნოსტალგია



ენგურს გაღმა ერთი ქუჩა ჩემია,
არ შემიძლია დაბრუნება, მოლოდინი თქვენშია,
ბევრჯერ თასი აქ ავწიე სადღეგრძელო შენია,
თქვენი მონა მორჩილი ვარ,
შვილობილი თქვენია.
ჯვარცმულ დროშას დავიკავებ ხელში
და ილორთან შევირჩევი დიდხანს,
რიწის აღმართს ავუყვები ალბათ,
იქნებ რამე გაჭირება მითხრას,
ჩვენ ერთობის დრო დაგვიდგება მალე,
თარაშ ემხვარს ზიარება ელის,
მე ისევ ჩამძახიან ხმები
რომ ცხუმისკენ გზა არისო ძნელი.
აჰა კოდორი მოგორავს ტალღებს თამაშ-თამაშით,
სიმწვანეში გახვეულა არე-მარე ლამაზი,
სოხუმს ვნახავ ზღვის ტალღებზე თოლიების სიმრავლე,
ღმერთო აღარ გადავშენდეთ,
ქართველებო იხარეთ.
იქ გუმისტა მუქრება,
მე ბევრი მაქვს სათქმელი,
აქ ავანთოთ დაღუპული
გმირების სანთელი!
არ გვეღირსა დაბრუნება, მოლოდინი თქვენშია
,,მარუხიდან" გადმოვძახებ - აფხაზეთი ჩვენია.

ინგული მოსიავა.
სახალხო მთქმელი
,,ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემიის წევრი

## გვახსოვდეს

*არ დაივიწყება მოყვრისა, აროდეს ვეიხამს ზიანსა...*

# ისინი ილწვოდნენ ქალაქისათვის


ალექსანდრე (ლუტუნა) ეფრემიძე


ალექსანდრა (შურა) აბდუშელიშვილი


თინა სარიშვილი


მურთაზ ჩახავა


ტარიელ ბარამია


ალიოშა შავგულიძე


რევაზ ჩხარტიშვილი


ლიანა კოლოტაშვილი

მიდიხარ, ისე მიგაქვს წვალება,
თითქოს ზღვის პირას თივას თიბავდე,
ვინა სთქვა შენი გარდაცვალება,
არა, უთუოდ დღეს დაიბადე.

მიდიხარ, აღარ დაგემდურება,
არც მიწიერი არც ზეციერი,
ვინა სთქვა შენი უბედურება,
არა, დღესა ხარ შენ ბედნიერი.

მიდიხარ, ცბიერი გქონდეს მგზავრობა,
სხვა ბინა მარად იყო ზღაპარი,
ვინა სთქვა შენი მიუსაფრობა,
არა, შენ ჰპოვე თავშესაფარი.

მიდიხარ, შენს ბედს ბევრი ინატრებს
ბედნიერს, ბედი სხვა არსად არი,
შენ სივრცეებმა დაგაბინადრეს,
შენ უკვდავების ხარ ბინადარი..


გიორგი (კოხე) მეტაქსა


ზაურ ლაბარტყავა


თეიმურაზ (თაზო) ჯღარკავა


კალე ცხადაია

## გამოსათხოვარი

# ოთარ ქირია
# ის ხომ 75 წლის აღსანიშნავად ემზადებოდა



ჩაის და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ყოფილი კოლხეთის ათვისების სამეცნიერო ცენტრის (იმ დროის კოლხეთის ფილიალის) დარჩენილ მცირერიცხოვან მეგობრებს გამოაკლდა ამ ორგანიზაციის ბოლო დირექტორი **ოთარ პანტელეიმონის ძე ქირია**.

ოთარი იყო უაღრესად ზრდილი და პატიოსანი პიროვნება, შრომისმოყვარე, სიახლის მაძიებელი და მეცნიერებისათვის დამახასიათებელი ალღოს მქონე ადამიანი. თავისი დაუღალავი შრომით მუშის თანამდებობიდან დირექტორობამდე მიაღწია.

რთული წინააღმდეგობებით აღსავსე იყო ამ წარმატებამდე ო. ქირიას მიერ გავლილი გზა. იგი 1946 წელს დაიბადა კოლმეურნის ოჯახში. 1965 წელს დაამთავრა ქ. ფოთის მე-7 საშუალო სკოლა. 1965-1968 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში ქ. ხარკოვში. სამხედრო-სავალდებულო სამსახურის დამთავრების შემდეგ, იგი მუშაობდა ხარკოვის სხვადასხვა ორგანიზაციებში მუშად. პარალელურად კი სწავლობდა ვ.ვ. დოკუჩაევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე, რომელიც 1974 წელს დაამთავრა და იმავდროულად ჩაერიცხა ამავე ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების ასპირანტურაში.

კოლხეთის სამეცნიერო ცენტრში მან შრომითი საქმიანობა დაიწყო, როგორც ავღნიშნეთ, მუშის თანამდებობით. შემდეგ იყო აგროტექნიკოსი, უმცროსი მეცნიერ-მუშაკი, ნიადაგთმცოდნეობის ლაბორატორიის უფროსი, უფროსი მეცნიერ-მუშაკი, ბოლოს კი დასახელებული სამეცნიერო დაწესებულების, არც თუ ისე პატარა კოლექტივის, დირექტორი.

ო. ქირიამ საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა ქ. ხარკოვში, იმ ინსტიტუტში, სადაც იგი სწავლობდა. მისი დისერტაციის სამეცნიერო ღირებულებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ოფიციალურმა ოპონენტმა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურიატმა, პატრიკ ლუმუმბას სახელობის უნივერსიტეტის პროფესორმა ს.ვ. ზონმა მიზანშეწონილად მიიჩნია ო. ქირიას სამეცნიერო ნაშრომის მონოგრაფიის სახით გამოცემა.

ო. ქირიას სამეცნიერო გამოკვლევების საფუძველზე გამოქვეყნებული ჰქონდა 16 სამეცნიერო სტატია. მან საინტერესო და პერსპექტიულ საკითხებზე აგებული ბიზნეს-გეგმებით რამოდენიმეჯერ მოიპოვა სახელმწიფო გრანტი, რომლის მეშვეობითაც ჩამოაყალიბა ძველ და მივიწყებულ მეთოდზე დაფუძნებული თევზჭერის ბრიგადა, სადაც დაასაქმა 20 კაცამდე გამოცდილი მეთევზე. მან მეუღლე ვიოლეტა კუციასთან (სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი) და ვაჟიშვილ პაატა ქირიასთან ერთად, პირველმა ჩვენს ქალაქში ჩამოაყალიბა ბიოფერმერული მეურნეობა „ნერგები". აქ მუხლჩაუხრელი შრომით მოჰყავთ და ამარაგებენ ქალაქის ბაზარს ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქტებით. (კარტოფილი, პომიდორი, კიტრი, საზამთრო და სხვა.).

ასე ღირსეულად განვლო თავისი შრომითი საქმიანობა ჩვენმა ყველასათვის საყვარელმა მეგობარმა ოთარ ქირიამ, მან სახელოვანი შვილები და შვილიშვილები დატოვა. ქალიშვილი-ქეთინო ქირია-ოჩიგავა, მეუღლე სოსო ოჩიგავასთან ერთად სამეცნიერო კვლევით საქმიანობას ეწევა ამერიკაში. ვაჟიშვილი პაატა ქირია ჰოლანდიელ მეუღლე ანა სამველთან ერთად მამის კვალს მიჰყვება ბიომეურნეობაში, რომლებსაც თეორიულ დახმარებას უწევს ქალბატონი ვიოლეტა.

ოთარი ოჯახთან ერთად ემზადებოდა 25 ივლისს საიუბილეო თარიღის, 75 წლისთავის აღსანიშნავად, რაც ულმობელმა ავადმყოფობამ არ დააცალა.

წავიდა ოჯახიდან, ახლობლებიდან და მეგობრებიდან კიდევ ერთი ღირსეული ვალმოხდილი ქართველი კაცი.

ნათელი გზა გქონოდეს ჩვენო ოთარ იმქვეყნიურ სასუფეველში. ჩვენ, შენს მეგობრებს ისღა დაგვრჩენია ხშირად მოგიგონოთ და ნუგეში ვუთხრათ თქვენს ოჯახს.

შენი მეგობრები

**სამძიმარი**
**ოთარ ქირიას გარდაცვალების გამო**

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ ნაღდი ფოთელის, კარგი მეცნიერ მუშაკის,

**ოთარ პანტელეიმონის ძე ქირიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

მზია და ჟერონ შუბითიძეები

სპორტი

ქართული გენის ტრიუმფი

# ლაშა ბექაური ოლიმპიური ჩემპიონია!



ლაშა ბექაური ტოკიოს XXXII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონია. ქართველმა ძიუდოისტმა „ბუდოკანის" დარბაზში საქართველოს ჰიმნი ააჟღერა. საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის მონაგარი სამ მედლამდე გაიზარდა - ორ ვერცხლს ოლიმპიური ოქრო დაემატა.

მეხუთე საშეჯიბრო დღეს საქართველო ორი ოლიმპიელით - ნიკოლოზ ბასილაშვილით და ლაშა ბექაურით იყო წარმოდგენილი.

გადამწყვეტ შეხვედრაში ქართველს მეტოქედ გერმანელი ედუარდ ტრიპელი ჰყავდა. ბექაურმა შეხვედრის დებიუტშივე გვანერვიულა, მაგრამ დროული რეაქცია გამოავლინა, მეტოქეს რთული მდგომარეობიდან დაუძვრა და შეხვედრაზე კონტროლიც აიღო. გერმანელი ვაზარზე დააგდო, მერე და მერე კი დროც ოსტატურად გაიყვანა და შეხვედრა მოიგო.

„დღეს უბედნიერესი ადამიანი ვარ, ჩემი ქვეყანა გახარებულია და მე გავხდი ამის მიზეზი.დიდი მადლობა ყველას მხარდაჭერისთვის. მე ამაზე გაჩერებას არ ვაპირებ და კიდევ ბევრ გამარჯვებას ვგეგმავ, მათ შორის - მომავალ ოლიმპიურ თამაშებზე," - პრესკონფერენციაზე აღნიშნა ლაშა ბექაურმა.

დამოუკიდებელი საქართველოს სახელით 21 წლის ლაშა ბექაური ძიუდოში მეოთხე ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, თანაც 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში, წონაში, რომელიც ქართული ძიუდოს სკოლისთვის ტრადიციულად წარმატებულია. ბექაურამდე ამ კატეგორიაში ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ ზურაბ ზვიადაური (ათენი, 2004) და ირაკლი ცირეკიძე (პეკინი, 2008).

ლაშა ბექაურის ოლიმპიურმა ოქროს მედალმა საქართველო მედლების საერთო ჩათვლაში მნიშვნელოვნად დააწინაურა. ვაჟა მარგველაშვილის და ლაშა შავდათუაშვილის ვერცხლის მედლებით საქართველოს ოლიმპიური გუნდი 36-ე საფეხურზე იყო, ბექაურის ტრიუმფის შემდეგ, საქართველო ერთბაშად 17 ადგილით დაწინაურდა და მე-19 საფეხურზე აინაცვლა.

გარდა ამისა, საქართველოს ვაჟთა ნაკრები ტოკიოს თამაშებზე ერთადერთი გუნდია, რომელმაც ძიუდოში იაპონელების შემდეგ, ოქროს მედალი მოიპოვა.

## ვულოცავთ გამარჯვებას!
## მამუკა სართანია



ქალაქ თბილისში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე კრივში ჭაბუკთა შორის კრივის სასპორტო სკოლის მოკრივემ მამუკა სართანიამ, 63 კგ წონით კატეგორიაში მოიპოვა მესამე საპრიზო ადგილი.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური ულოცავს სპორტმენს, მის მწვრთნელს გოჩა რუსიას და სკოლის მენეჯერს რუბენ ქიქავას მიღწეულ წარმატებას.

სიცოცხლე კაცად ყოფნის სევდა ყოფილა

4 აგვისტოს 66 წლის გახდებოდა

## გიზო ხარჩილავას ხსოვნას
## გილოცავთ დაბადების დღეს კარგო კაცო და მეგობარო...



შენს სიკვდილს ცად ამაღლება ჰქვია, რადგან შენზე სიკვდილმა ვერ გაიმარჯვა. დარჩა სახელი, რომელსაც ვერც სიკვდილი და ვერც დრო ვერაფერს დააკლებს.

შენი ცხოვრების 65 წელი არის მაგალითი, როგორ უნდა აკეთო სიკეთე ყოველ დღე, ჩუმად და უანგაროდ.

შენ იყავი ადამიანი, რომელიც მთელი ოჯახით სხვებზე ზრუნვაში ათენებდა და აღამებდა.

მეუღლე-ნინო ჭანტურია არის ქალბატონი, რომელიც შენს მიერ გაღებულ სიკეთეს თავის წილს უთქმელად ამატებდა.

შენ იყავი ადამიანი, რომელმაც აჩვენა საზოგადოებას, როგორ შეიძლება 30 წლის წინ გარდაცვლილი ბიძაშვილის ოჯახი გარდაცვალების პირველ დღესავით გიყვარდეს და ზრუნავდე. შენ გაულამაზე ობლებს აკოს და თამოს ცხოვრება და დაუბრუნე ღიმილი. ამას შენ და შენი ოჯახი აკეთებდით ჩუმად, აფიშირების გარეშე. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე აღიარე, რომ ამ ბავშვებთან ამაგი არ დაგკარგვია.

ჩემო გიზო! შენ იყავი ჩემი 50 წლის მეგობარი, რომელიც ყოველთვის ჭირსა თუ ლხინში ჩემს გვერდით იყავი, შენ შეგეძლო მოულოდნელად მოგეწყო ზეიმი. შენი გული სავსე იყო სიკეთით და სიყვარულით.

მადლობა უფალს, რომ შენ ჩემი მეგობარი იყავი. მადლობა შენ, რომ ჩემთან იყავი და ძმასავით მედექი ყველგან და ყველაფერში. შენ და შენი ოჯახი - მეუღლე და შვილები, შენი სიკეთის თანამონაწილეები არიან და ვაი, რომ ხანმოკლე აღმოჩნდა შენთვის ეს წუთისოფელი, თუმცა, ეს შენთვის, თორემ ის, რაც შენ მადლი და სიკეთე გაქვს გაკეთებული, სხვას ამისათვის სამი სიცოცხლე არ ეყოფა.

დიდი მადლობა იმისთვის ჩემო მეგობარო, რაც ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის გაგიკეთებია.

დიდი მადლობა შენ, უანგარო სიყვარულისთვის, რომელიც ვაი, რომ დაგვაკლდება.

ვერც უფალმა და ვერც მედიცინამ ვერ შეძლო ჩემო კარგო შენი გადარჩენა, მაგრამ შენ სახელს დრო და ჟამი ვერაფერს დააკლებს.

გიზო ხარჩილავა იყო, არის და იქნება მეგობრობის, კარგი მამის, მეუღლის და კარგი ფოთელის ეტალონი.

ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროს ჩემო კარგო ადამიანო და ჩვენ, დარჩენილებს ღმერთმა შეგვაძლებინოს შენი სახელისა და საფლავის უკვდავყოფა.

კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო, ერთი ამ ქვეყნად დასარჩენი,და მეორე, იქეთ წასამძღვარებელი. შენ არც ერთი გაკლდა, არც მეორე.

მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური კოლხური მიწა.

ამ დღეებში შვილიშვილი შეგეძინა, როგორ გაიხარებდი შენი შთამომავლის ნახვით, როგორ გაგიხალისებდა სიცოცხლეს და ყველაფერს გააკეთებდი მისი ბედნიერებისათვის.

ავდარს შეცვლიან დარები,
ატმებიც დაიფიფქება,
სადაც შენ დაიკრძალები
ყველგან მთაწმინდა იქნება.

ალფიკა მეტაქსას ოჯახი

გახსენება

## გელა შოთას ძე ბასიალაია - 65 წელის გახდებოდა



არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი ღვაწლით, კაცობის, ჰუმანიზმის გამო დიდხანს შემორჩებიან ახლობლების,. მეგობრების, თანაქალაქელების ხსოვნას, მათ შორისაა ბატონი გელა ბასილაია-ტრადიციულ ქართულ ოჯახში გაზრდილი კაცი, მამა, ბატონი შოთა ბასილაია გახლდათ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი 32 წლის განმავლობაში და უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა აფხაზებსა და ქართველებს შორის, რომელთა ურთიერთობის განსამტკიცებლად ყველაფერს აკეთებდა. ბატონი გელაც დაეუფლა მედიცინის საფუძვლებს, 1881 წელს დაამთავრა კიევის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. წარმატებული ექიმი მალე აფხაზეთის ფსიქიატრიულ საავადმყოფოს მთავარ ექიმად დანიშნეს. შემდეგ იყო ომი, ეპოქალური ტრაგედია, რასაც ძალიან განიცდიდა იგი. ძნელი იყო ტოლვილობა საკუთარ მიწაზე. ყველაზე უფრო ძმათაშორის მტრობა აწუხებდა. შემდეგ თბილისში გააგრძელა საექიმო-სამეცნიერო ცხოვრება. აფხაზეთის ფსიქიატრიულ საავადმყოფოს მთავარ ექიმად. იყო მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

წავიდა ამქვეყნიდან ვალმოხდილი პიროვნება, ყველას გული დაწყვიტა. დატოვა შესანიშნავი ოჯახი, მეუღლე-მედიცონის მეცნიერებათა დოქტორი მაია ქურდოვანიძე, რომელიც დღესაც აგრძელებს მეუღლის ტრადიციებს. დიდებული შვილები აღუზარდეს ქვეყანას შოთიკო და თემური. მაია აღნიშნული საავადმყოფოს მთავარ ექიმად დაინიშნა და წარმატებით უძღვება.

კიდევ ბევრი სასიკეთო საქმეების გაკეთება შეეძლო ბატონ გელას ქვეყნისათვის. მიყვება დარდი მშობლიური ქალაქის დატოვების გამო. ბევრი ლამაზი დღეები დარჩა მოსაგონარი, ის კარგი თამადა იყო, ჩემი მეჯვარე და ნაღდი მეგობარი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი დიდებული სული. ალბათ თავს დაგვსტრიალებს მისი სული და გვამხნევებს, გვაერთიანებს.

მადლიერებით, ბადრი ბასილაია



ხსოვნა

## ხათუნა კორკელია-ევროპის ჩემპიონი დიდ სპორტს დააკლდა

გარდაიცვალა ცნობილი ფოთელი სპორტსმენი, საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი წყალსათხილამურო სპორტში,

**ხათუნა კორკელია.**

ხათუნა გახლდათ საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, ახალგაზრდული თამაშების გამარჯვებული, საბჭოთა კავშირის მოსწავლეთა სპარტაკიადის ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის ტრამპლინიდან ხტომაში, საბჭოთა კავშირის რეკორდსმენი ტრამპლინიდან ხტომაში, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული".



საქართველოს ვეტერანთა ცენტრალური კავშირის ფოთის საქალაქო კავშირის გამგეობა და წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 69 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვეტერანი მუშაკი, საქართველოს დამოუკიდებლობის, ერთიანობის და ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული საომარი მოქმედებების მონაწილე, პოლიციის მაიორი თადარიგში -

**რაინდი (ვალერი) მამანტის-ძე ოჩიგავა**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



სამძიმარი

უახლოესი მეგობარი რომან თავართქილაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა, კარგი ფოთელი და მეცნიერი

**ოთარ ქირია**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სკოლის მეგობრები იუწყებიან თანაკლასელის, ღვაწლმოსილი მეცნიერის, პატრიოტის

**ოთარ ქირიას**

გარდაცვალებას და უსამძიმრებენ განსვენებულის ოჯახს.

**განცხადება:**

**იყიდება: ორსართულიანი კაპიტალური სახლი ქალაქის ცენტრში, განაშენიანებული ეზოთი.მის: იერუსალიმის №4; ტელ: 551 499 555**

რედაქციის მისამართი: ქ.ფოთი, თამარ მეფის №52 , საკონტაქტო ტელ: (0493) 22-25-13 გაზეთი იბეჭდება ქალაქ ფოთში შ.პ.ს. ,,ირიდაში"
E-mail: k.khobalia@gmail.com
რედაქტორი ზ. აბრალავა